



საქართველოს
სახალხო დამცველი

გავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში

2015 წელი



www.ombudsman.ge



ევროკავშირი



გამოცემულია ევროკავშირის ხელშეწყობით.
წინამდებარე გამოცემაში გამოთქმულ მოსაზრებებზე სრულად არის
პასუხისმგებელი ავტორი და ის არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

შესავალი5

1. ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მუსლიმური ქონების დამცველთა კავშირში არსებულ ბავშვთა პანსიონატში9
2. მიწოდებით აღზრდის სახელმწიფო ქვეპროგრამის იმპლემენტაციის მონიტორინგი.....14
3. რეინტეგრაციის სახელმწიფო ქვეპროგრამის მონიტორინგი21
4. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემა30
5. ბავშვთა საკითხების გაშუქება მდინაში – ეთიკური და სამართლებრივი სტანდარტები.....32
6. 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა37
7. არასრულწლოვანთა თვითმკვლელობის საკითხი43
8. არასრულწლოვანთა არამართლმორიერი გადაყვანა სახელმწიფო საზღვარზე46
9. ბავშვის მიმართ ძალადობა.....48
10. ბავშვთა სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვის უფლება.....53
11. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები.....55
12. დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა.....58
13. ბანატლების უფლების განხორციელება.....61

შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველმა არსებითად შეისწავლა 2015 წელს სახელმწიფოს მიერ ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები და დადებითად შეაფასა არაერთი მათგანი, მათ შორის: პარლამენტის მიერ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის დამტკიცება, სკოლამდელი განათლების კანონპროექტის მომზადება, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების ინიცირება და მინდობით აღზრდის სტანდარტების მომზადება, სახელმწიფოს მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებების კომიტეტისთვის ბავშვის უფლებების კონვენციის განხორციელების შესახებ მე-4 პერიოდული ანგარიშის წარდგენა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის 16 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით განიხილა და ერთხმად მიიღო კანონპროექტი, რომლის მომზადების საფუძველი საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება გახდა. ცვლილების მიხედვით, 16-დან 18 წლამდე პირთა ქორწინების რეგისტრაციის წესი შეიცვალა იმგვარად, რომ ქორწინებაზე ნებართვის გაცემა მხოლოდ სასამართლოს შეეძლება. ასევე, დაზუსტდა ქორწინების რეგისტრაციის პატივსადები გარემოება და დებულების მოქმედების ვადა განისაზღვრა ერთი წლით. მისასალმებელია, რომ კიდევ ერთხელ დაფიქსირდა მტკიცე ნება ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციის ხელშეწყობის მიმართულებით.

აღნიშნულთან ერთად, ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით საქართველოში არაერთი გამოწვევა არსებობს. კვლავ დღის წესრიგშია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციის მესამე დამატებითი ოქმის ხელმოწერისა და რატიფიკაციის საკითხი; 2014 წელს საქართველოს მთავრობის მიერ ადამიანის უფლებების დაცვის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღებას სახელმწიფო უწყებების მხრიდან ვალდებულებების მეტი თანმიმდევრულობით განხორციელება უნდა მოჰყოლოდა; მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში კვლავ მაღალია ბავშვის მიმართ ძალადობის მაჩვენებელი, საქართველოს კანონმდებლობაში ჯერჯერობით არ ასახულა ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც სახელმწიფო მეტ პასუხისმგებლობას აიღებს ბავშვის ყველა სახის ძალადობისგან დაცვის მიზნით. ამ მხრივ, არც საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით არის მიღებული ქმედითი ზომები. ხშირ შემთხვევაში, ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალები არ ფლობენ ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთა იდენტიფიკაციისა და ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს. პრობლემას წარმოადგენს, ასევე, სუსტი კოორდინაცია ბავშვთა ძალადობისგან დაცვის რეფერირების პროცედურების შესახებ ბრძანების განხორციელებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებს შორის; აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის მიერ, საქმისწარმოების პროცესში, გამოვლინდა ბავშვის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის მიმართ ჩადენილ დანაშაულთა მაღალი მაჩვენებელი. საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავრობას და მოითხოვა, აღნიშნულ სფეროში შეიქმნას სამოქმედო


დო გეგმა – „სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“, ევროპის საბჭოს კონვენციის პრაქტიკაში აქტიური დანერგვისათვის აუცილებელი ქვეპროგრამების დართვით. თუმცა, საანგარიშო პერიოდში აღნიშნულ რეკომენდაციაზე სახალხო დამცველს მთავრობისგან საპასუხო წერილი არ მიუღია; განსაკუთრებით პრობლემურია ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე არასრულწლოვანთა ძალადობისგან დაცვის საკითხი. ხშირ შემთხვევაში, ძალადობის ფაქტზე შესაბამისი ორგანოების მხრიდან არ ტარდება ადექვატური ქმედებები და არ ხორციელდება პრევენციული ღონისძიებები. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვთა დაცვისთვის საჭირო აქტივობების განხორციელების შესახებ; კვლავ პრობლემად რჩება სასამართლო გადანყვებილების აღსრულება ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით მშობლების განქორწინების შემთხვევაში; ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებადი დამხმარე ქვეპროგრამების ნაწილი სრულფასოვნად ვერ ფარავს არასრულწლოვნების საჭიროებებს. სოციალური სამსახური დღემდე არ არის აღჭურვილი საკმარისი ადამიანური და ტექნიკური რესურსით, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებებით; სოციალური მუშაკებისთვის შრომითი გარემოს გაუმჯობესება, კვალიფიციური კადრების სერვისიდან გადინების თავიდან აცილება და ახალი კადრების კვალიფიკაციის სისტემური ამაღლება – ეს არის არასრული სია იმ საკითხებისა, რომელთა გადაჭრაც განაპირობებს ბავშვზე ზრუნვის ხარისხის გაუმჯობესებას და რისთვისაც სახელმწიფომ ყველა ღონე უნდა იხმაროს.

მწვავედ დგას ბავშვთა სიღარიბისა და სიკვდილიანობის პრობლემა. მიუხედავად კლების სტატისტიკისა, 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემდგომი შემცირება კვლავ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავრობას 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, სადაც მიუთითებდა ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების სპეციალური სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების აუცილებლობაზე; პრობლემურია სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი მაღალმთიანი რეგიონების საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურა; მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს პედაგოგთა კვალიფიკაცია და მათი სისტემური გადამზადების საჭიროება, ინკლუზიური განათლების პროგრამის სრულფასოვნად დანერგვა, პენიტენციურ დაწესებულებებში არასრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განათლების უწყვეტობა და ხარისხის უზრუნველყოფა; გასატარებელია გადაუდებელი ღონისძიებები, რათა არასრულწლოვანი მსჯავრდებულები/ბრალდებულები დაცული იყვნენ ნებისმიერი სახის ძალადობისგან. ყურადსაღები ამოცანის წინაშე გვაყენებს ყოფილ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესიც.

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატმა განახორციელა მონიტორინგი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსა და საქართველოში მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფ არასრულწლოვანთა პანსიონებში. მონიტორინგის შედეგად დგინდება, რომ რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში არსებული პანსიონების ბენეფიციარების-

ვის მიწოდებული სერვისის საჭიროებს ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას და პანსიონების ბენეფიციართა აღზრდას ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში. აუცილებელია, რომ რელიგიური პანსიონების ბენეფიციარების შემთხვევაშიც, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მათი კანონიერი წარმომადგენლობითი უფლება-მოვალეობები მიენიჭოს.

იხილეთ ბავშვის უფლებების ინდივიდუალური დარღვევების სტატისტიკა სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის 2015 წლის საქმისწარმოების მიხედვით¹



საანგარიშო პერიოდში, საქმისწარმოების პროცესში გამოიკვეთა, რომ კვლავ გამოწვევად რჩება ბავშვთა სიღარიბე და ცხოვრების არასათანადო პირობები, ბავშვის მიმართ სხვადასხვა ფორმით ძალადობის პრობლემა. სახალხო დამცველის თანამშრომლების ვიზიტები რეგიონებში გვიჩვენებს, რომ ბავშვთა სიღარიბის აღმოფხვრა და მათი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის

¹ ცხრილში ასახულია ბავშვის უფლებების დარღვევების და არა წარმოებულ საქმეთა რაოდენობრივი განაწილება

გაუმჯობესება სახელმწიფოს ზრუნვის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. გარდა ამისა, ცენტრის საქმისწარმოების სტატისტიკის მიხედვით, საყურადღებოა ბავშვთა განათლების უფლების სხვადასხვა სახის დარღვევები და სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის კუთხით არსებული ხარვეზები. გამოწვევებია, აგრეთვე, ბრალდებული/მსჯავრდებული არასრულწლოვნების უფლებების განხორციელების მხრივ არასრულწლოვანთა სასჯელალსრულების დაწესებულებებში. საქმისწარმოება მიმდინარეობს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების უფლებების დაცვის მიმართულებით. დაფიქსირდა ბავშვის სკოლამდელი განათლების უფლების დარღვევის არაერთი შემთხვევა, რომელთაც ცენტრი სწავლობს. კვლავ პრობლემურია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი.

1. ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა პანსიონებში

2015 წლის 23 თებერვლიდან 15 მარტის ჩათვლით საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში, სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრთან ერთად, მონიტორინგი განახორციელა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსა და საქართველოში მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფ არასრულწლოვანთა პანსიონებში.²

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა შემოწმდა: 1. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონში, 2. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ა(ა)იპ ჯავახეთის წინწმინდის წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში, 3. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ა(ა)იპ სოფელ ფერიის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონში, 4. ქართველ მუსლიმთა კავშირის სოფელ ფერიის გოგონათა პანსიონში, 5. ქართველ მუსლიმთა კავშირის სოფელ ფერიის ვაჟების პანსიონში, 6. ქართველ მუსლიმთა კავშირის ქობულეთის ვაჟების პანსიონში, 7. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ბედიანის ბავშვთა და მოზარდთა სარეაბილიტაციო ცენტრში.

სახალხო დამცველის მანდატის ფარგლებში ეს იყო აღნიშნულ პანსიონებში ბავშვის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შემოწმების, გამონწვევების იდენტიფიცირებისა და ამ გამონწვევების გადაჭრისკენ მიმართული რეკომენდაციების შემუშავების პირველი მცდელობა. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსა და საქართველოში მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფ პანსიონებში არსებობდა ამ მონიტორინგის განხორციელების მზაობა. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი ითვალისწინებს მონიტორინგის ჩატარებას როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო ინსტიტუტებში. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ პრევენციის ეროვნულ მექანიზმს მიეცეს შესაძლებლობა, რეგულარულად განახორციელოს აღნიშნული მონიტორინგი.

ბავშვის უფლებების კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი ყველა ბავშვის წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ ყველა უფლებას, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ამავე კონვენციის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ბავშვების მიმართ განხორციელებულ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას

² აღნიშნული მონიტორინგის სპეციალური ანგარიში იხილეთ სახალხო დამცველის ოფიციალურ ვებგვერდზე: <http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/bavshvta-uflebrivi-mdgomareoba-saqartvelos-martlmadidebeli-eklesiisa-da-muslimuri-konfesiis-daqvemdebarebashi-arsebul-bavshvta-pan-sionebshi1.page>

სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.

ბავშვის უფლებების კონვენციის მე-20 მუხლის თანახმად, ბავშვს, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია თავის ოჯახურ გარემოცვას ან რომელსაც საკუთარი საუკეთესო ინტერესებისათვის არ შეუძლია დარჩეს ასეთ გარემოცვაში, სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების უფლება აქვს. ასეთი ბავშვი სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ალტერნატიული ზრუნვით, რომელიც მოიცავს მინდობით აღზრდას, შვილად აყვანას ან აუცილებლობის შემთხვევაში, ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებაში მოთავსებას. ბავშვის უფლებების კონვენციის სულისკვეთებიდან გამომდინარეობს, რომ ბავშვი რეზიდენტული მზრუნველობის დაწესებულებაში უნდა მოთავსდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაშინ, როდესაც ასეთ დაწესებულებაში არსებობს სათანადო პირობები და დაწესებულებაში მოთავსება ბავშვის საუკეთესო ინტერესებშია.³ რეზიდენტული მზრუნველობის დაწესებულებები უნდა იყოს მცირე ზომის და იქ არსებული პირობები უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვის უფლებათა დაცვას და საჭიროებათა დაკმაყოფილებას. გარემო მაქსიმალურად უნდა იყოს მიმსგავსებული ოჯახურ გარემოს.⁴ თუ სახელმწიფოში კვლავაც არსებობს დიდი ზომის რეზიდენტული მზრუნველობის დაწესებულებები, დეინსტიტუციონალიზაციის საერთო სტრატეგიის ფარგლებში, უნდა შემუშავდეს ალტერნატივები. სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები, რომელიც მოიცავს მცირე ჯგუფებში ინდივიდუალურ ზრუნვას; სახელმწიფომ უნდა განახორციელოს დიდი ზომის სახელმწიფო და კერძო რეზიდენტული დაწესებულებების შეფასება ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესაბამისად; ამასთან, ასეთი დაწესებულებების შექმნის ან შექმნის ნებართვის გაცემის დროს იხელმძღვანელოს დეინსტიტუციონალიზაციის ამოცანითა და სტრატეგიით.⁵

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველომ გადადგა გარკვეული ნაბიჯები დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით. საქართველოს მთავრობამ 2012 წლის 24 აპრილის N762 განკარგულებით დაამტკიცა ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმის მიზანია, საქართველოში მცხოვრები ყველა ბავშვი დაცული იყოს ძალადობისა და უგულბელობისაგან და ჰქონდეს ინდივიდუალური და პოზიტიური ფსიქო-სოციალური განვითარების შესაძლებლობა ოჯახში ან ოჯახთან მიახლოებულ გარემოში. დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის ფარგლებში შეიქმნა მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლები; მიუხედავად ამისა, საქართველოში დღემდე არსებობს დიდი ზომის ბავშვთა რეზიდენტული დაწესებულებები და არ არის შესრულებული მცირე ჯგუფებში ბავშვზე ინდივიდუალური ზრუნვის ამოცანა. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმაში დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დასრულებისა და ალტერნატიული მომსახურების გა-

3 გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია – „ბავშვთა ალტერნატიული ზრუნვის გზამკვლევი“, 2010წ., პარაგრაფი 21
4 იქვე, პარ., 123
5 იქვე, პარაგრაფი 23

ფართოების ამოცანის შესრულების ერთ-ერთ ღონისძიებად მითითებულია არასახელმწიფო ბავშვთა სახლების შეფასება და ოპტიმიზაცია. ამდენად მნიშვნელოვანია, დროულად განხორციელდეს სალიცენზიო პირობებისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტების შესრულების შეფასება და ლიცენზირების პროცესის ხელშეწყობა.

საქართველოს სახალხო დამცველს სურს ხაზი გაუსვას, რომ საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ბავშვზე ალტერნატიული ზრუნვის კუთხით არსებული პრობლემების გათვალისწინებით, დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებებში მყოფი ბავშვების საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, დეინსტიტუციონალიზაციისა და ბავშვის უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავება.

ბავშვის კეთილდღეობისა და ჰარმონიული განვითარებისკენ მიმართული სახელმწიფოს ძალისხმევა უნდა მოიცავდეს საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ღონისძიებებს, სამართლებრივი დაცვის ეფექტური მექანიზმის შექმნას, დიალოგს ყველა დაინტერესებულ მხარესთან, ყოვლისმომცველი ეროვნული სტრატეგიის შემუშავებას, ბავშვის უფლებების დაცვისკენ მიმართული ღონისძიებების კოორდინირებას დაინტერესებულ მხარესთან, ბავშვის უფლებების კონვენციის დებულებების დაცვის პირობებში არასახელმწიფო სუბიექტების მიერ მომსახურების მიწოდების ხელშეწყობას, მომსახურების მიწოდების პროცესის მონიტორინგის სისტემის შექმნას და ბავშვზე ზრუნვაში ჩართული პირების სწავლებას და შესაძლებლობების გაზრდას.⁶

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განხორციელებული მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსა და საქართველოში მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფ პანსიონებში ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტების შესრულების და მეორე მხრივ, ამ სტანდარტების შესრულების ხელშეწყობის კუთხით სახელმწიფოს ძალისხმევის შეფასება. წინამდებარე ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების შესრულება სწორედ სახელმწიფოს თანმიმდევრულ პოლიტიკაზეა დამოკიდებული.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა პანსიონებში განხორციელებული ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმების შედეგად რამდენიმე მიმართულება გამოიკვეთა, რომლის დარეგულირებაც ბავშვთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას ემსახურება და სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს. ზრუნვის მიწოდების ხარისხი განსხვავებულია ზემოთ აღნიშნული დაწესებულებების მიხედვით და არ არის დარეგულირებული ბავშვზე ზრუნვის ერთიანი სისტემით. პანსიონების ბენეფიციარები არ იმყოფებიან სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ. შესაბამისად, სოციალური სამსახური ზრუნვის პროცესში ჩართული არ არის. ეს ეწინააღმდეგება ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებს და ართულებს ბავშვის ისეთი ფუნდამენტური უფლებებისა და თავ-

6 ბავშვის უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N5 (2003) „ზოგადი ხასიათის ღონისძიებები“ CRC/GC/2003/5

ისუფლებების განხორციელებას, როგორც არის, მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, განათლების უფლება, ძალადობისგან დაცვა და ა. შ. ის ფაქტი, რომ ამ პანსიონების ბენეფიციარებზე არ ხორციელდება სახელმწიფო ზრუნვა, პრობლემებს ქმნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვისაც. სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია მათთვის სტატუსის განსაზღვრა და შესაბამისი სამედიცინო სერვისის განხორციელება. ასევე, სოციალური მომსახურების სააგენტოსთან თანამშრომლობის გარეშე პრობლემურია არასრულწლოვნების პირადი დოკუმენტაციის მონესრიგების საკითხი, მათი საგანმანათლებლო საჭიროებების განსაზღვრა. აუცილებელია, რელიგიური პანსიონების ბენეფიციარების შემთხვევაშიც, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიენიჭოს მათი კანონიერი წარმომადგენლობითი უფლება-მოვალეობები, რაც მნიშვნელოვანია არასრულწლოვნებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის პროცესში.

კონფესიების დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა პანსიონებში, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები არასრულწლოვნების მსგავსად, ბენეფიციართა უმრავლესობა სხვადასხვა ფორმის ძალადობის მსხვერპლ, ტრავმირებულ ბავშვებს წარმოადგენს, რომელთაც საგანგებო მიდგომა, თანმიმდევრული ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, რიგ შემთხვევებში კი, ფსიქიატრიული ჩარევა ესაჭიროებათ. ამავ დროს, ბენეფიციარებს სრულყოფილად არ მიეწოდება ფსიქიატრიული/ფსიქოლოგიური მომსახურება. ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია აღმზრდელთა კვალიფიკაციის საკითხი. აღმზრდელს, ძალადობის პრევენციის მიზნით და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების დამტკიცების შესახებ ბრძანების⁷ თანახმად, უნდა ჰქონდეს ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვანის იდენტიფიკაციის, ძალადობის ფაქტის გამოვლენისა და ბავშვის შესაბამის სტრუქტურასთან რეფერირების ცოდნა და უნარი. ამდენად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აღნიშნულ დანესებულებებში მომუშავე პერსონალის პროფესიონალიზმი. ამ მხრივ კი, როგორც მონიტორინგის შედეგებმა გვიჩვენა, აღმზრდელების უმრავლესობა საჭიროებს გადამზადებას ბავშვზე ზრუნვის სფეროში, რადგან ძალადობის მსხვერპლი და შესაბამისად რთული ქცევის ბავშვისადმი სწორი მოპყრობის უნარების არქონა ბავშვის მიმართ ძალადობის მომეტებულ რისკ ფაქტორს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა პანსიონებში აღმზრდელთა ტრენინგებს ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ბავშვებისათვის“. ამასთან, მონიტორინგის შედეგად ისიც გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პანსიონების ყველა ადმინისტრაციამ გამოთქვა სურვილი, რომ რეგულარულად ხორციელდებოდეს დანესებულებების აღმზრდელ-პედაგოგების გადამზადება როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე ბავშვზე ზრუნვის სფეროში.

გარდა ამისა, აუცილებელია, დაინერგოს მომსახურების ინდივიდუალური მიდგომა, რომელიც ორიენტირებული იქნება ბენეფიციართა ინდივიდუალურ საჭ-

7 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანება N152/6 –N496 – N45/6 „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“.

ირობებზე, მათი აზრისა და ინტერესების გათვალისწინებით, რათა არასრულწლოვნებმა სრულად მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება.

ამრიგად, ბავშვთა კეთილდღეობის გაუმჯობესების, მათი უფლებებისა და თავისუფლებების სრულფასოვანი განხორციელებისა და არასრულწლოვანთა ყველაზე ინტერესების გასათვალისწინებლად, რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში არსებული პანსიონების ბენეფიციარებისთვის მიწოდებული სერვისი საჭიროებს ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას და პანსიონების ბენეფიციართა აღზრდას ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში. ამ თვალსაზრისით სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები არაა დამაკმაყოფილებელია. დეინსტიტუციონალიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით, მომსახურების მიმწოდებლებთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში, ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტების შესრულების მიზნით, სახელმწიფომ უნდა მომართოს ყველა საჭირო რესურსი, რათა შექმნას შესაბამისი მექანიზმი ამ სტანდარტების შემდგომი შესრულების ზედამხედველობის განსახორციელებლად, უზრუნველყოს მომსახურების პროცესში ჩართულ პირთა სწავლება და მათი შესაძლებლობების გაძლიერება, ბავშვის კეთილდღეობასა და ჰარმონიულ განვითარებაზე ზრუნვის პროცესში, აწარმოოს დიალოგი ყველა დაინტერესებულ მხარესთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპების ეფექტური დანერგვის მიზნით, გააძლიეროს საერთაშორისო თანამშრომლობა.

2. მინდობით აღზრდის სახელმწიფო ქვეპროგრამის იმპლემენტაციის მონიტორინგი⁸

2015 წლის 3 ივნისიდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „ბავშვის უფლებების ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება“, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა მინდობით აღზრდის სახელმწიფო ქვეპროგრამაში⁹ ჩართული 175¹⁰ ბენეფიციარის უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი შემდეგ რეგიონებში: სამეგრელო–ზემო სვანეთი, რაჭა–ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, გურია, იმერეთი, აჭარა, სამცხე–ჯავახეთი, კახეთი, მცხეთა–მთიანეთი და თბილისი.

მონიტორინგის ფარგლებში შემონმდა რეინტეგრაციის პროცედურების განმახორციელებელი უფლებამოსილი ორგანოების¹¹ მიერ აღნიშნული სერვისის იმპლემენტაცია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის (CRC), ევროპის მინისტრთა საბჭოს შესაბამისი რეზოლუციებისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე, შემდეგი მიმართულებებით: ბავშვთა ძალადობის, ექსპლუატაციისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის, სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვა, კონფიდენციალურობისა და ინდივიდუალური მიდგომის პრინციპები, ხარისხიანი და დროული ჯანმრთელობის უფლების ხელმისაწვდომობა, განათლების უფლების თანაბარი ხელმისაწვდომობა, დისკრიმინაციისა და არათანასწორი მოპყრობის აკრძალვის პრინციპი.

ქვეპროგრამის ზოგადი იმპლემენტაცია – 2015 წლის მონაცემებით, მინდობით აღზრდის სახელმწიფო ქვეპროგრამაში 1255 ბენეფიციარი იყო ჩართული.¹² სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, ქვეპროგრამა დანერგილია თვითმმართველი ქალაქების უმრავლესობაში, თუმცა არ ხორციელდება რიგ მუნიციპალიტეტებში, მათ შორისაა ლენტეხი, მესტია, აბაშა, მარტვილი, ფოთი, ნალენჯიხა, ხობი, ახალქალაქი, ნალკა და შუახევი. რეგულარული მინდობით აღზრდისაგან განსხვავებით, გადაუდებელი მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა სპეციფიკური ხასიათისაა. „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, ბენეფიციარების გადაუდებელი მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართვისას არ ხდება მინდობით აღსაზრდელისა და მიმღები ოჯახის თავსებადობის განსაზღვრა. გადაუდებელ შემთხვევებში, ბენეფიციარის მიმღებ ოჯახში განთავსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მეურვეობა–მზრუნველობის რე-

8 მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის მონიტორინგის შედეგები სრულად ასახული იქნება სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში.

9 დამტკიცებულია „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონით.

10 აღნიშნული რაოდენობის ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმება მოხდა 2015 წლის 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. პროექტის მიხედვით, დაგეგმილია 455 ბენეფიციარის მონიტორინგი 2016 წლის 3 ივნისის ჩათვლით.


11 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, მეურვეობა–მზრუნველობის რეგიონული საბძოები.

12 საანგარიშო პერიოდის მანძილზე რეგულარული მინდობით აღზრდის პროცესში ჩართული იყო 999 არასრულწლოვანი, ნათესაური მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში – 208, ხოლო გადაუდებელ მინდობით აღზრდაში – 48 ბენეფიციარი.

გიონული საბჭოს თავმჯდომარე სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე.¹³ მონიტორინგის შედეგად, დაფიქსირდა მიმღები ოჯახიდან ბენეფიციარის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე გამოყვანა არასრულწლოვნის და მიმღები ოჯახის შეუთავსებლობის გამო.¹⁴

მონიტორინგის პროცესში შემონმებული ბენეფიციარების 25% ქვეპროგრამაში ჩართვამდე ირიცხებოდა მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების ქვეპროგრამაში, ხოლო 75%-ბიოლოგიური ოჯახებიდან იქნა გამოყვანილი. შემონმების მიხედვით, ნამყვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს არასრულწლოვანთა ბიოლოგიური ოჯახიდან გამოყვანას, ძალადობა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობა (მათ შორის, სექსუალური და ფიზიკური ძალადობის სხვა მძიმე ფორმები), სიღარიბე, ცხოვრების არასათანადო პირობები და უგულვებელყოფა გახდა.

ცხრილი N1 – მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართულ არასრულწლოვანთა ბიოლოგიური ოჯახიდან გამოყვანის საფუძველები



შემონმებულ ბენეფიციართა 26% მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართვის ვადა ერთ წელზე ნაკლებია, 1–3 წლამდე ვადით არასრულწლოვანთა 56 %, ხოლო 3 წელზე მეტი დროით – 18 %-ია ჩართული.

მომსახურების რელევანტურობა, ინკლუზიურობა, გამართულობა და ინდივიდუალური მიდგომა – აღნიშნული სტანდარტით საანგარიშო პერიოდში შემონმდა შესაბამისი დოკუმენტაციის მონესრიგების საკითხი და ბენეფიციარის ბიოლოგიური ოჯახის წევრებთან ურთიერთობის ხარისხი. მონიტორინგის შედეგად შემონმდა დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს როგორც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, ისე, მეურვეობა-მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოების რეგიონული საბჭოების გადაწყვეტილებებს და ინდივიდუალური განვითარების გეგმებს. თითოეული დოკუმენტის მოქმედების ვადა საშუალოდ ექვს თვეს შეადგენს, თუმცა, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლიდან გამომდინარე, ხელშეკრულება შეიძლება 1 წლამდე ვადითაც დაიდოს. მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუ-

13 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის ბრძანება N51/6.
 14 მაგალითად, აჭარის რეგიონში.

მენტაცია 60%-ის შემთხვევაში მონესრიგებულია. პრობლემას წარმოადგენს ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებით მოთხოვნილი პრინციპი - ბიოლოგიურ ოჯახთან ტერიტორიულად მაქსიმალურად ახლოს განთავსება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ შემთხვევათა 23%-ში მინდობით აღსაზრდელები სხვა მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქებში არიან განთავსებული. მონიტორინგის შედეგად ასევე გამოიკვეთა ბენეფიციარის დედამამიშვილებთან ერთად განთავსების პრობლემა.

ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემონმების შედეგად იკვეთება, რომ დოკუმენტში განერილია გეგმის შედგენისა და გადასინჯვის თარიღები, ამასთან – მომსახურეობის ტიპი ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში და ქმედებების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა, რომ მიმღები ოჯახების 60% – ის შემთხვევაში გეგმის შედგენა/გადასინჯვა უშუალოდ სოციალური მუშაკის მიერ ხორციელდება და პროცესში სათანადოდ არ მონაწილეობს არასრულწლოვანი ან/და მიმღები მშობელი. სამწუხაროდ, აღნიშნული პირები ნაკლებად არიან ინფორმირებული ინდივიდუალური გეგმით განერილი აქტივობების შესახებ. ამასთან, რიგ შემთხვევებში, მიმღები ოჯახები არ ფლობენ სათანადო ინფორმაციას ბავშვის ბიოლოგიური ოჯახიდან გამოყვანის მიზეზების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობისა ან სხვა სახის ქმედებების გამოცდილების კონფიდენციალობის შესახებ.

უსაფრთხო და სათანადო ფიზიკური გარემო, კვების ორგანიზაციული წესები და ჯანდაცვის უფლება მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში – საანგარიშო პერიოდში შემონმდა ბენეფიციარების დროებითი საცხოვრებლის ფიზიკური გარემო, ასევე, კვების ორგანიზაციული წესები და ჯანდაცვის უფლების განხორციელების ხარისხი. როგორც შემონმების შედეგად გამოიკვეთა, აღნიშნულ სფეროში არსებობს დადებითი ტენდენციები. გამონაკლისია ნათესაური მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის იმპლემენტაცია. ამ შემთხვევაში, შემონმებული მიმღები ოჯახების დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველ ოჯახთა ერთიან ბაზაშია დარეგისტრირებული და შესაბამისად, მათი ეკონომიური მდგომარეობა მძიმეა. ნათესაური მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართულ შემონმებულ ოჯახთა 55% საჭიროებს სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის ფარგლებში მოქმედ პროგრამებში ჩართვას. ცალკეულ შემთხვევებში პრობლემები გამოიკვეთა სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვის მიმართულებით (მაგალითად, სველი ნერტილების კეთილმოწყობის კუთხით). შემონმებული ნათესაური მიმღები ოჯახების 40% –ს ესაჭიროება საცხოვრებლის რეაბილიტაცია.

რაც შეეხება კვებისა და ჯანდაცვის უფლებას, ბენეფიციართა უმრავლესობა პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში აღრიცხვაზე იმყოფება და უზრუნველყოფილია შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით. თუმცა, გარკვეული პრობლემები ამ მიმართულებითაც გამოიკვეთა. მაგალითად, მიუხედავად რეალური საჭიროებისა, სახელმწიფო/ადგილობრივი ორგანოები ნაკლებად არიან ჩართული მთელი რიგი სამედიცინო მანიპულაციების დაფინანსების საქმეში. მეორე მხ-

რივ, ბენეფიციარების ნაწილს, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები და არ აქვთ მონესრიგებული პირადი დოკუმენტაცია, სერიოზული დაბრკოლება ექმნებათ ჯანდაცვის უფლების რეალიზაციის თვალსაზრისით. რაც შეეხება კვებას, უნდა აღინიშნოს, რომ ძირითად შემთხვევაში, ყოველდღიური და ყოველკვირეული მენიუ დაბალანსებულია და ასახავს არასრულწლოვნების საჭიროებებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობა მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის ფარგლებში – როგორც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ წარმოებული სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, 2015 წლის განმავლობაში, მინდობით აღზრდის სახელმწიფო ქვეპროგრამაში 180 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი იქნა ჩართული, რაც ბენეფიციართა მთლიანი რაოდენობის 14.3%-ს შეადგენს.¹⁵

რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას ჯანდაცვის მიმართულებით, უნდა აღინიშნოს, რომ შემონმებულ ბენეფიციართა 95% აღრიცხვაზე იმყოფება პირველადი ჯანდაცვის ცენტრში და ფლობს შესაბამის პოლისს. ცალკეულ შემთხვევებში, დაფიქსირდა ბავშვების საჭიროებების გაუთვალისწინებლობა. მაგალითად, რამდენიმე რეგიონში გამოიკვეთა ბავშვებისათვის ეტლის საჭიროება, თუმცა სახელმწიფო მზრუნველობაში ჩართვიდან რამდენიმე თვის შემდეგაც ვერ მოხერხდა ბავშვის აღნიშნული საჭიროების დაკმაყოფილება. მოუგვარებელია ჯანდაცვის ფინანსური ხელმისაწვდომობის საკითხებიც. შემონმებულ არასრულწლოვანთა 55%, საჭიროების შემთხვევაში, ვერ იღებს სრულყოფილ სამედიცინო კონსულტაციას, გამოკვლევებსა და მედიკამენტურ მკურნალობას, შესაბამისი ფინანსების არარსებობისა და სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არასაკმარისი ჩართულობის გამო.

განათლების უფლების განხორციელების კუთხით, უნდა აღინიშნოს, რომ შემონმებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციართა 60% ჩართულია სკოლამდელ/ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში. ინკლუზიური განათლების ქვეპროგრამაში ჩართვის შემთხვევაში, არსებობს გარკვეული პრობლემები ხარისხიანი განათლების მიღების კუთხით. ცალკეულ შემთხვევებში გამოიკვეთა, რომ საჭიროა, სწავლების პროცესში სპეციალური განათლების პედაგოგების ინტენსიური ჩართვა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ეფექტურად მომზადება/განხორციელება.¹⁶


ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უფლება მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის ფარგლებში – მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართული ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი, სახელმწიფო მზრუნველობაში ჩართვამდე ბიოლოგიურ ოჯახში ძალადობისა და უგულვებლყოფის მსხვერპლი იყო. კონკრეტულად, ბენეფიციართა 40% ბიოლოგიურ ოჯახში ყოფნის განმავლობაში იყო ისეთი ტიპის ძალადობის მსხვერპლი, რამაც გამოიწვია მათი ჯანმრთელობის დაზიანება ან/და ფსიქოლოგიური პრობლე-

15 http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=776

16 აღნიშნული ტენდენცია ასევე ფიქსირდება ისეთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მიმართ, რომლებსაც არ აქვთ მინიჭებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი.

მები. მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართვისას, არ მომხდარა ამ არასრულწლოვნების უმრავლესობის ფსიქოლოგიური საჭიროებების შეფასება და სათანადო ფსიქო-ემოციური რეაბილიტაცია (იხ. ცხრილი N2), რაც ბავშვთა სოციალიზაციის ერთ-ერთ მთავარ დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს. არასრულწლოვანთა ფსიქო-ემოციური რეაბილიტაციის შემაფერხებელ ფაქტორს ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირება წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ფსიქოლოგთა მცირე რაოდენობით არის განპირობებული.¹⁷

ცხრილი N2 – არასრულწლოვანთა ფსიქო-ემოციური რეაბილიტაციის მაჩვენებელი



მონიტორინგის პროცესში მსუბუქი ფიზიკური დასჯა აღინიშნა არასრულწლოვანთა 10%-ის მიმართ, იძულება და დაშინება – 17%-ის მიმართ. ქცევის მართვის უარყოფითი ხერხები – ყვირილი, კუთხეში დაყენება, გადაადგილების აკრძალვა, დაფიქსირდა ბენეფიციართა 40%-ის მიმართ. აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარები და აღმზრდელები არასათანადოდ არიან ინფორმირებული ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესახებ.

განათლების უფლების იმპლემენტაცია მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში – შემონმბულ არასრულწლოვანთა 85% ჩართულია სკოლამდელ/ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში. ცალკეულ შემთხვევებში, მაგალითად, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტსა და სოფელ სადმელში გამოიკვეთა პრობლემა ბავშვის სკოლამდელ პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით. თვითმმართველ ქალაქებში განთავსებული ბენეფიციარების 65% და მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მინდობით აღსაზრდელი ბავშვების 40% ჩართულია არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში.¹⁸ რაც შეეხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებს, შემონმბული არასრულწლოვნების 15% საჭ-

17 სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრებს, სოციალური მომსახურების რაიონული განყოფილებებისგან განსხვავებით, გამოყოფილი აქვთ ფსიქოლოგის შტატი. აქედან გამომდინარე, რეგიონში არსებულ ყველა შემთხვევაზე რეაგირებას ახდენს ერთი ფსიქოლოგი, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ბავშვის ფსიქო-ემოციურ რეაბილიტაციას.

18 წარმოდგენილი მონაცემები უკავშირდება სასკოლო ასაკის ბენეფიციარებს.

იროებს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასებას, შესაბამისად, ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შედგენასა და სპეციალური პედაგოგის ჩართულობას.

სათანადო ზრუნვისა და მეთვალყურეობის საკითხები – გამოიკვეთა, რომ ცალკეულ შემთხვევებში მიმღები მშობელი არ ითვალისწინებს არასრულწლოვანის ინდივიდუალურ საჭიროებებს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ზრუნვის ობიექტი 4 და მეტი ბავშვია. ამასთან, არსებობს მიმღები მშობლების სისტემური და სისტემატიური გადამზადების საჭიროება ბავშვზე, განსაკუთრებით კი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანზე ზრუნვის, ასევე, მისი პოზიტიური თვითაღქმისა და თვითშეფასების ამაღლების მიმართულებით. მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ ბენეფიციართა ნაწილს შეზღუდული აქვს გამოხატვის თავისუფლება მაშინაც კი, თუ აღნიშნული ემთხვევა მის ინტერესებს. ხარვეზებია არასრულწლოვნის მიერ აღმზრდელის ნებართვის გარეშე სოციალურ მუშაკთან დაკავშირების მიმართულებითაც.

მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის სამართლებრივი რეგულირება – მინდობით აღზრდის სახელმწიფო რეგულირებას მრავალი შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო აქტი ახორციელებს. „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის იმპლემენტაციასთან მიმართებით, განსაზღვრავს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს უფლებამოსილებებს. მათ შორისაა, მინდობით აღზრდას დაქვემდებარებული პირისა და მიმღებ მშობლად დარეგისტრირების მსურველი პირის გამოვლენა, ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავება და მისი შესრულების მონიტორინგი, ბენეფიციარის საცხოვრებელი პირობების, აღზრდის, განვითარების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, მიმღები მშობლების მიერ მოვალეობების ჯეროვნად შესრულების ზედამხედველობა, ბენეფიციარისა და მიმღები მშობლის შეფასება და თავსებადობის განსაზღვრა. კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მინდობით აღზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, სოციალური მუშაკის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების რეგიონულ საბჭოებს გააჩნია. 35-ე მუხლით განერილია მიმღები ოჯახის მოვალეობანი და პასუხისმგებლობა. რაც შეეხება მინდობით აღზრდელის უფლებებს, კანონში განსაკუთრებით ხაზგასმულია გამოხატვისა და მონაწილეობის თავისუფლების უზრუნველყოფა (36-ე მუხლის მეორე პუნქტი).

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების ვალდებულებებს ეხება ასევე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №51/6 ბრძანება „მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“. დამატებით, აღნიშნული ბრძანების მე-16 მუხლის შესაბამისად, ბავშვის მინდობით აღზრდაში გადაცემიდან ერთი თვის განმავლობაში, არანაკლებ კვირაში ერთხელ, სოციალური მუშაკი ანარმოებს მიმღებ ოჯახში ვიზიტს წინასწარი შეთანხმებით ან შეთანხმების გარეშე, ერთი თვის შემდეგ კი – არანაკლებ თვეში ერთხელ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის N138 დადგენილებით – „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, დამტკიცებულია მინდობით აღზრდის სახელმწიფო ქვეპროგრამა (დანართი N1.9). დადგენილება ითვალისწინებს ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში აღზრდის ხელშეწყობას, ბავშვის ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მის ინდივიდუალურ განვითარებასა და საჭიროებებზე ორიენტირებული ზრუნვის უზრუნველყოფას, ბავშვის ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერას და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების ხელშეწყობას, ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან კონტაქტის გაძლიერებას და მისი ხელშეწყობის უზრუნველყოფას. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, არასრულწლოვანს, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია ოჯახურ გარემოს, ანდა, მისივე ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება დარჩეს ასეთ გარემოში, უფლება აქვს, სარგებლობდეს სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობითა და დახმარებით. გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტმა აღნიშნა, რომ მინდობით აღზრდის პროგრამა უნდა ხორციელდებოდეს ბავშვის უფლებათა კონვენციის 25-ე მუხლის ქრილში, რომელიც აღიარებს ალტერნატიულ მზრუნველობაში მყოფი ბავშვის უფლებას, იყოს დაცული და პერიოდულად ხდებოდეს მის მიმართ ასეთი სახის მეურვეობასთან დაკავშირებული სხვა პირობების შეფასება.¹⁹

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა 2008 წლის 23 ივნისის საქართველოს მიმართ დასკვნითი შენიშვნების 34-ე პარაგრაფში ხაზი გაუსვა ამ სფეროში სოციალური მუშაკების ეფექტიანი საქმიანობის მნიშვნელობას, ამასთან, ყურადღება გაამახვილა, რომ აუცილებელია სათანადო მუშაობის განხორციელება იმისათვის, რომ მოხდეს მომსახურებიდან გასული პირების დახმარება.²⁰

გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის²¹ მიხედვით, დამტკიცებულია ისეთი პრინციპები, როგორიცაა ბენეფიციარის ბიოლოგიურ ოჯახთან ტერიტორიულად ახლოს განთავსება, ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისაგან არასრულწლოვნის დაცვა, რელიგიისა და გამონათვის თავისუფლების უზრუნველყოფა, ალტერნატიულ მზრუნველობაში რაც შეიძლება მცირე დროის გატარება. რეზოლუციაში განსაკუთრებით ხაზი აქვს გასმული მიმღები მშობლებისათვის ტრენინგების ჩატარებისა²² და სისტემატური მონიტორინგის²³ განხორციელების აუცილებლობას.

19 ბავშვის უფლებათა კომიტეტის ანგარიში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა, ოფიციალური ჩანაწერი, 55-ე სესია, დანართი N41, დოკ. A/55/41, გვ. 66.

20 ბავშვის უფლებათა კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები: საქართველო, 2008 წლის 23 ივნისი, დოკ. CRC/C/GEO/Co/3, პარაგრაფი 37.

21 გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, ბავშვზე ალტერნატიული ზრუნვის გზამკვლევი, 2010 წლის 24 თებერვალი, დოკ. A/RES/64/142.

22 იქვე, პარა. 118.

23 იქვე, პარა. 128.

3. რეინტეგრაციის სახელმწიფო ქვეპროგრამის მონიტორინგი²⁴

2015 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის იანვრის ჩათვლით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ „ბავშვის უფლებების ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში განხორციელდა ბავშვთა ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციის სახელმწიფო ქვეპროგრამის²⁵ (შემდგომში - რეინტეგრაციის ქვეპროგრამის) მონიტორინგი. პროექტის ფარგლებში შემონმდა 90 ბენეფიციარის უფლებრივი მდგომარეობა.


რეინტეგრაციის ქვეპროგრამის მონიტორინგი განხორციელდა არასრულწლოვანთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების საერთაშორისო სტანდარტების ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციის ეფექტიანობის დადგენის მიზნით.²⁶ მონიტორინგის პროცესში გათვალისწინებულ იქნა როგორც საერთაშორისო აქტები (მაგ., გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის (CRC), ევროპის მინისტრთა საბჭოს შესაბამისი რეზოლუციებისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციები და ა.შ.), ისე ამ სფეროში არსებული ევროპული და ადგილობრივი კვლევები²⁷ და მეთოდოლოგიური პრინციპები. გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, შესაბამისი ქმედებების განხორციელების მოთხოვნით, შემონმებული შემთხვევების 80%-ზე წერილობით მიმართა პასუხისმგებელ უწყებებს.

სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვის უფლების იმპლემენტაცია – ბავშვთა სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვის უფლება სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, შექმნას სოციალური დაცვის ეფექტიანი სისტემა, რომლის ფარგლებშიც, ყველა არასრულწლოვანს, თანასწორობის პრინციპის საფუძველზე, ექნება ცხოვრების სათანადო სოციალური გარემო და სააღმზრდელო პირობები.²⁸ ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ოჯახში ბენეფიციარი იღებდეს მისი საჭიროებების შესაბამის ბაზისურ ზრუნვასა და მეთვალყურეობას.²⁹ მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ რეინტეგრირებული ბავშვების მნიშვნელოვანი რაოდენობა ცხოვრობს ფარდობითი სიღარიბის პირობებში – ფიქსირდება არასათანადო სოციალურ-ეკონომიკური პირობები: ბავშვებს არ აქვთ სათანადო საცხოვრებელი და სასწავლო-სააღმზრდელო პირობები, საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო

24 რეინტეგრაციის ქვეპროგრამის მონიტორინგის შედეგების სრული ვერსია აისახება სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში.
25 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის N01-20/6 ბრძანება „რეინტეგრაციის შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესისა და პირობების, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების განსაზღვრის შესახებ“
26 ძალადობის, ექსპლუატაციისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის, სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვა, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, განათლების უფლების ეფექტიანი იმპლემენტაცია, დისკრიმინაციისა და არათანასწორი მოპყრობის პრინციპი, კონფიდენციალურობისა და ინდივიდუალური მიდგომის პრინციპები.
27 მათ შორის, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF), USAID-ის, ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“, კვლევა „რეინტეგრირებული ოჯახების საჭიროებების შეფასება“, 2013.
28 გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია.
29 იქვე.

ნივთები, სრულფასოვანი კვების პროდუქტები; მნიშვნელოვანია საცხოვრისის პრობლემა, სოციალურ სერვისებსა და ქვეპროგრამებზე მისაწვდომობა.

წინამდებარე **ცხრილი N3** ასახავს რეინტეგრირებული ბავშვების ჩართულობას სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვის ქვეპროგრამებში:



რეინტეგრირებულ ბავშვთა სოციალური დაცვის სისტემის ეფექტიანობის ანალიზი უჩვენებს, რომ რეინტეგრირებული ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩართულია სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი გადაუდებელი სახელმწიფო დახმარების ქვეპროგრამაში. გამოკითხული ბენეფიციარების/აღსაზრდელთა კანონიერი წარმომადგენლების 90% აცხადებს, რომ რეინტეგრაციის ქვეპროგრამის ფარგლებში მიღებული შემწეობა³⁰ არ არის საკმარისი ბავშვისათვის სათანადო სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და სააღმზრდელო გარემოს შესაქმნელად. რესპონდენტების 40%-ის აზრით, სოციალურ დახმარებასთან ერთად, რეინტეგრაციის შემწეობა, ძირითადად, უზრუნველყოფს ბავშვების სათანადო სოციალური და სააღმზრდელო გარემოს შექმნას, ხოლო 60% მიიჩნევს, რომ საჭიროა დამატებითი ქვეპროგრამების შემუშავება რეინტეგრირებული ოჯახების გასაძლიერებლად.

რამდენიმე რეგიონში, სახელმწიფო მზრუნველობაში ბავშვის განთავსების პერიოდიდან, ვერ ხორციელდება ბიოლოგიური ოჯახის საჭიროებების სრულყოფილი შეფასება და მისი გაძლიერება რეინტეგრაციის პროცესისა და

³⁰ რეინტეგრაციის შემწეობის თანხა განისაზღვრება 90 ლარის ოდენობით ჯანმრთელ ბავშვზე, ხოლო 120 ლარით – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბენეფიციარზე.

არასრულწლოვნის სახელმწიფო ზრუნვიდან გამოყვანის უზრუნველსაყოფად. შემონმბებული რეინტეგრირებული ბავშვების 60%-მდე იმყოფებოდა არასათანადო საცხოვრებელ/სოციალურ პირობებში.

ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილების მხრივ ოჯახების 55%-ში ფიზიკური გარემო და ინფრასტრუქტურული პირობები არ იყო დამაკმაყოფილებელი, დაფიქსირდა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევაც. მაგ., ბენეფიციარების 35%-ს არ ჰქონდა ინდივიდუალური სანოლი, დამოუკიდებელი სამეცადინო კუთხე, დამაკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობები.


2015 წლის 30 მარტის საქართველოს მთავრობის N138 დადგენილების „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლით დამტკიცდა ბავშვთა დაცვის სოციალური ქვეპროგრამები. მათგან რეინტეგრირებული ბენეფიციარების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩართულია „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების“, „ბავშვთა ადრეული განვითარებისა“ და „ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის“ ქვეპროგრამებში. გამოკითხული რესპონდენტების 45%-ის მიხედვით, ჭიანურდება აღნიშნულ ქვეპროგრამებში ჩართვის პროცესი.

რაც შეეხება მუნიციპალური დახმარების ქვეპროგრამებს, აღსანიშნავია, რომ ქუთაისის საკრებულოს დადგენილების მიხედვით, დამტკიცდა სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებული ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნების, მიტოვების რისკების პრევენციისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად და ასევე, სახელმწიფო მზრუნველობიდან გასული ბავშვების ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერებისა და ხელშეწყობის მიზნით მატერიალური დახმარების განვების ქვეპროგრამა,³¹ რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია ფულადი დახმარება თითოეულ ბენეფიციარზე 200 ლარის ოდენობით. აღნიშნულ ქვეპროგრამაში ჩართულ იქნა შემონმბებული 10 ბენეფიციარი.

ძალადობის, ექსპლუატაციისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისგან დაცვის უფლება – შემონმბების შედეგების მიხედვით, რეინტეგრაციის ქვეპროგრამაში ჩართული ბავშვების ნაწილი იყო ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი. რამდენიმე შემთხვევაში დაფიქსირდა უგულვებლყოფისა და ფიზიკური ძალადობის ფაქტები, რომლებსაც მშობლები აღზრდის მეთოდად იყენებდნენ. რამდენიმე საქმეში ასევე გამოიკვეთა მიკერძოებული და უარყოფითი დამოკიდებულება ოჯახის წევრების მხრიდან. ფსიქოლოგიური ზეწოლისა და ძალადობის შემთხვევა დაფიქსირდა შემონმბებული ბენეფიციარების 35%-ში, ხოლო ფიზიკური ძალადობის ფორმები გამოვლინდა 30%-ში. ქვეპროგრამის იმპლემენტაციის დადებით მიმართულებად უნდა ჩაითვალოს, რომ შემონმბებულ ბიოლოგიურ ოჯახებში ბენეფიციარები დაცული არიან შრომითი ექსპლუატაციისა და სექსუალური ხასიათის ძალადობისაგან.

31 ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N59, 19/12/2014, „2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

ცხრილი №4



სახალხო დამცველის რწმუნებულებმა, ბრძანების³² ძირითადი რეგულაციების საფუძველზე, შეამოწმეს ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების ღონისძიებების ეფექტიანობა/დაცულობა რეინტეგრირებულ ოჯახებში. კონკრეტულად, ბრძანების³³ მიხედვით, სოციალური მუშაკი რეაგირებას ახდენს იმ შემთხვევაში, თუ გამოავლენს ბენეფიციარისათვის საზიანო ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ან/და სოციალურ გარემოს, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო ღონისძიებების გატარება ბენეფიციარის ფსიქო-სოციალური დახმარების მიზნით.³⁴ ძალადობის ექვსი შემთხვევაში, მშობელი უკავშირდება სოციალურ მუშაკს, პატრულს ან ძალადობის ცხელ ხაზს.³⁵ აღნიშნული რეგულაციების პრაქტიკაში იმპლემენტაცია ფერხდება, რადგან სათანადოდ ვერ ხორციელდება ძალადობისა და უგულებელყოფის შემთხვევების იდენტიფიცირება, დაზარალებული ბავშვების ფსიქოლოგიური შეფასება და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია. შესაბამისად, რეინტეგრირებულ ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის იმპლემენტაციისათვის, აუცილებელია, მშობელთა ინფორმირებულობის დონის ამაღლება, საჭირო ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება.

ადრეული, სკოლამდელი, ზოგადი და პროფესიული განათლების უფლება – რეინტეგრაციის სახელმწიფო ქვეპროგრამაში ჩართული ბენეფიციარების განათლების უფლება შემომწმდა როგორც ადრეული და სკოლამდელი, ასევე

32 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის N01-20/6 ბრძანება „რეინტეგრაციის შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესისა და პირობების, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების განსაზღვრის შესახებ“.

33 იქვე.

34 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის N01-20/6 ბრძანება „რეინტეგრაციის შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესისა და პირობების, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების განსაზღვრის შესახებ“, მუხლი 10 (5, 6).

35 იქვე.


საბაზო/ზოგადი და პროფესიული განათლების უფლებით თავისუფალი სარგებლობის დონეზე.

მონიტორინგმა გვიჩვენა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს, რომელთაც აქვთ გადაადგილების პრობლემები და ინდივიდუალური განვითარების გეგმების მიხედვით, საჭიროებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასა და მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებას, ეზღუდებათ განათლების უფლება. მათი ნაწილი, მიუხედავად მოთხოვნისა, არ არის შეფასებული მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. ასევე, გამოიკვეთა შემთხვევები, სადაც მიუხედავად სპეციალური განათლების პედაგოგისა, არასრულწლოვნის სასწავლო უნარებისა და შემეცნების დონის გაუმჯობესება ვერ ხერხდება არასათანადო სასწავლო გეგმის გამო. რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვი არ იყო დაკავშირებული შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულების მიზნით. ქვეპროგრამის განხორციელების დადებით მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს, რომ აღნიშნულ პროგრამებში ჩართული ბავშვებისათვის განათლების ტერიტორიული ხელმისაწვდომობა, ძირითადად, დაცულია.

ზოგადი და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უფლების იმპლემენტაციის სფეროში, რეინტეგრირებული ბავშვების აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს საბაზო განათლების მიღების შემდგომ, პროფესიული სწავლების გაგრძელების საკითხი. კონკრეტულად, შემონმებული ბავშვებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების 15%-ის განცხადებით, გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემების გამო, მათ ვერ შეძლეს პროფესიული განათლების მიღება/გაგრძელება.

წინამდებარე ცხრილში ასახულია ადრეულ, სკოლამდელ და ზოგადი განათლების სისტემაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა, ასევე პედაგოგიური ჩამორჩენის მქონე და ინკლუზიური განათლების პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა:

ცხრილი №5



შემონმებული ბავშვების 30%-ს ჰქონდა პედაგოგიური ჩამორჩენა. შემთხვევების 35%-ში არ ხდებოდა სავარაუდო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების უნარების შეფასება და ინდივიდუალური სასწავლო საჭიროებების განსაზღვრა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საჭიროების მქონე ბავშვების სასწავლო უნარების განვითარების მიზნით, უნდა მოხდეს სასწავლო პირობებისა და გარემოს ადაპტირება, გამოიკვეთა რომ მშობლების 20%-ს არ ჰქონდა ინფორმაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განერილი ძირითადი მიმართულებების შესახებ, ხოლო 15% ბავშვის ინკლუზიური განათლების პროგრამაში ჩართვის წინააღმდეგი იყო (მიუხედავად სპეციალური საჭიროებებისა).

ხარისხიანი და დროული ჯანმრთელობის უფლების ხელმისაწვდომობა რეინტეგრაციის ქვეპროგრამაში – არასათანადოდ ხორციელდება რეინტეგრირებული ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის დროული და ხარისხიანი შეფასება და შესაბამისი საჭიროებების გამოვლენა, პრობლემურია მაღალმთიან რეგიონებში რეინტეგრირებულ ბავშვთა ჯანდაცვის უფლების ხელმისაწვდომობა და ხარისხი. ამ მხრივ, განსაკუთრებული საჭიროებები დაფიქსირდა ზუგდიდში, ახალციხის მუნიციპალიტეტში, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლებში ფხელშესა და იელში. რაც შეეხება საყოველთაო ჯანდაცვის პოლისით სარგებლობას, ბენეფიციარების უმრავლესობა იმყოფებოდა პირველადი ჯანდაცვის ცენტრში სამედიცინო აღრიცხვაზე, ბენეფიციართა 70% სარგებლობდა გეგმიური სამედიცინო მომსახურებით და ჩატარებული ჰქონდათ გეგმიური აცრები. ნაწილობრივ იყო უზრუნველყოფილი საჭიროების შემთხვევაში ბავშვის სამედიცინო მომსახურებასთან გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა.

მონიტორინგის შედეგად ასევე შემონმდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივნისის N308 დადგენილებაში „2015 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ რეინტეგრირებულ ბენეფიციართა ჩართვისა და მონაწილეობის საკითხები. შემონმების შედეგების მიხედვით, ბენეფიციართა 15% ჩართული იყო ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო ქვეპროგრამაში³⁶ და სარგებლობდა შესაბამისი მედიკამენტური მკურნალობით, 65% მონაწილეობდა იმუნიზაციის ქვეპროგრამაში,³⁷ ხოლო 40% სარგებლობდა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გაცემული მიზნობრივი დახმარებით. შემონმების შედეგების მიხედვით, არასათანადოდ არის რეალიზებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბენეფიციართა ჯანმრთელობის უფლება. რეინტეგრირებული ბენეფიციარების 45%-ს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, არ აქვთ ჩატარებული სათანადო სამედიცინო გამოკვლევები ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების მიზნით, რეგულარულად არ მიეწოდებათ მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტები.

მომსახურების ინკლუზიურობა, ინდივიდუალური მიდგომა და კონფიდენციალობის დაცვა რეინტეგრაციის ქვეპროგრამაში – შემონმების შედეგების მიხედვით, რეინტეგრაციის ქვეპროგრამაში ჩართულ ოჯახებს სოციალური

36 საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივნისის N308 დადგენილება „2015 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“, პროგრამული კოდი 35 03 03 01, დანართი N11.

37 იქვე.

მუშაკისაგან არ მიეწოდებათ სათანადო ინფორმაცია ბავშვების პერსონალური მონაცემების, რეინტეგრაციის ხელშეკრულებისა და ინდივიდუალური განვითარების გეგმების კონფიდენციალურობის შესახებ. რეინტეგრირებულ ოჯახებთან ინტერვიუებში ასევე გამოიკვეთა, რომ ბიოლოგიური ოჯახებიდან გამოყვანის მიზეზები, ჯანმრთელობის შესახებ არსებული პრობლემები და არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობრივი ან სხვა სახის არასათანადო მოპყრობის გამოცდილების შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია დაცული არ არის. ბავშვებს, რომელთაც დაესვათ შეკითხვა მსგავსი ტიპის ინფორმაციის დაცულობისა და ინდივიდუალური განვითარების გეგმით განერილი მომსახურებების შესახებ, მსგავსი ტიპის ინფორმაცია სრულყოფილად არ მიეწოდებოდათ. ამასთან, ისინი არც ინდივიდუალური განვითარების გეგმების შედგენაში იყვნენ ჩართული. მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების მიხედვით, მშობელი/მეურვე პერიოდულად, სულ მცირე, 6 თვეში ერთხელ ბენეფიციართან და სოციალურ მუშაკთან ერთად მონაწილეობას იღებს გეგმის გადასინჯვის პროცესში.³⁸ ინდივიდუალური განვითარების გეგმა ნათლად უნდა აღწერდეს გეგმის შედგენის და გადასინჯვის თარიღებს, რა სახის მომსახურებას (მხარდაჭერას) მიიღებს ბავშვი, მომსახურების განხორციელების განრიგს, გეგმაში დასახული კონკრეტული ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთა ვინაობას და ფუნქციებს.³⁹ აღნიშნული რეგულაციების პრაქტიკაში იმპლემენტაცია არასათანადოდ ხორციელდება. კონკრეტულად, ინდივიდუალური განვითარების გეგმის შინაარსობრივი (ფაქტობრივი შესაბამისობა), შესრულების ინდიკატორების და გადასინჯვის ინტენსივობის მხრივ, შემონმებული გეგმების 40%-ში არასათანადოდ აისახებოდა რეინტეგრირებული ბავშვების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებები და ინდიკატორები. ხოლო გამოკითხული ბენეფიციარებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების 55%-ს არ ჰქონდა სრულყოფილი ინფორმაცია ინდივიდუალური განვითარების გეგმით განერილი აქტივობების, შესრულების ინდიკატორებისა და მექანიზმების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ რეინტეგრაციის შემთხვევების მართვისა და მონიტორინგის⁴⁰ მხრივ, ინდივიდუალური განვითარების გეგმის განხორციელებისთვის რეგულარული ვიზიტების წარმოება, ძირითადად, ხორციელდება ბრძანებით⁴¹ დადგენილი წესის შესაბამისად, რეინტეგრირებულ ოჯახში თვეში ერთი ვიზიტის სახით. თუმცა, ვიზიტების განხორციელებას აფერხებს გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, ტრანსპორტირების პრობლემები და სხვ. შემონმებულ ბენეფიციარებთან განხორციელებული ინტერვიუების მიხედვით, ბენეფიციართა კანონიერი წარმომადგენლების 85%-მა განაცხადა, რომ სოციალური მუშაკი კომპეტენციის ფარგლებში უწევს

38 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის N01-20/6 ბრძანება „რეინტეგრაციის შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესისა და პირობების, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების განსაზღვრის შესახებ“.

39 იქვე.

40 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის „რეინტეგრაციის შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესისა და პირობების, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების განსაზღვრის შესახებ“ 2014 წლის N01-20/6 ბრძანების მე-10 მუხლის მიხედვით, აღნიშნული კომპეტენცია გააჩნია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკს.

41 იქვე.

მათ კონსულტაციას ბენეფიციარის ზრუნვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, თუმცა ჭიანურდება ბავშვებისა და ოჯახების მხარდამჭერ სერვისებთან დაკავშირება. შემომნებულ შემთხვევათა 80%-ში გამოიკვეთა, რომ მშობელი აცნობებს სააგენტოს ბენეფიციარის ცხოვრებაში მომხადარი ან მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ (საცხოვრებელი ადგილისა თუ საკონტაქტო ინფორმაციის შეცვლა, ცვლილება ოჯახის შემადგენლობაში). საქმეთა 60%-ში მშობელი ითვალისწინებს ბავშვის აზრს, შეხედულებებსა და სურვილებს მის ზრუნვასთან დაკავშირებული საკითხების გადანყვეტისას, თუ ეს უკანასკნელი გონივრულია და არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს. მშობლების 40%-ის განცხადებით, კი ბავშვის აზრის მხოლოდ მაშინ ითვალისწინებენ, თუ ეს მშობლის შეხედულებებს არ ეწინააღმდეგება.

რეინტეგრაციის სახელმწიფო ქვეპროგრამის სამართლებრივი რეგულირება – საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას, ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად, დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით. ბავშვის უფლებების კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის, ამასთან ითვალისწინებენ მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალებებს, და ამ მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომებს“. კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კი მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ გაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ. კონვენციის 39-ე მუხლი მიუთითებს, რომ ბავშვის რეინტეგრაცია უნდა ხორციელდებოდეს ღირსეულ გარემოში. კონვენციის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები ეროვნული პირობების შესაბამისად და თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში მიმართავენ საჭირო ზომებს, რათა დახმარება გაუწიონ მშობლებს და ბავშვის აღმზრდელ სხვა პირებს ამ უფლების განხორციელებაში და, აუცილებლობის შემთხვევაში, მატერიალურ დახმარებას უწევენ და ხელს უწყობენ პროგრამებს, განსაკუთრებით კვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პროგრამებს. 39-ე მუხლის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები ყველა საჭირო ზომას მიმართავენ, რათა ხელი შეუწყონ ბავშვის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ აღდგენას და სოციალურ რეინტეგრაციას.

„ალტერნატიული მზრუნველობის სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ“⁴² გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა განავითარონ და განახორციელონ ბიოლოგიური ოჯახების სააღმზრდელო უნარების გაძლიერება.⁴³ ამავე რეზოლუციიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს სოციალური სერვისების გაძლიერება მშობლებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის. ასეთი სერვისები პირდაპირ უნდა იყოს ხელმისაწვდომი ბენეფიციარებისათვის.⁴⁴ რეზოლუციის მიხედვით, გამოიყო-

42 გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, 2010 წლის 24 თებერვალი, A/RES/64/142 http://www.unicef.org/protection/alternative_care_Guidelines-English.pdf
43 იქვე, მუხლი. 33.
44 იქვე, მუხლი. 33-35.

ფა შემდეგი ძირითადი პრინციპები – ბავშვთა ალტერნატიულ მზრუნველობაში განთავსების პრევენცია, რომელიც გულისხმობს მზრუნველობამოკლებულ ბავშვებზე ორიენტირებული პოლიტიკის განვითარებას; ოჯახის დანაწევრების პრევენცია, ოჯახის გაძლიერების მრავალჯერადი სერვისები, ფინანსური დახმარება, სპეციალური სერვისები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის/მშობლისათვის. რეზოლუციაში რეინტეგრაციის ხელშემწყობი პრინციპებიდან ასევე აღსანიშნავია ბიოლოგიური ოჯახის საჭიროებების რეგულარული შეფასება; დროული და ხელმისაწვდომი სერვისების დანერგვა; სოციალური დახმარების სისტემის განვითარება, ბავშვსა და ბიოლოგიურ ოჯახს შორის რეგულარული ურთიერთობის აღდგენა, პოზიტიური ფსიქო-ემოციური დამოკიდებულების განმტკიცება,⁴⁵ მეურვეობა-მზრუნველობის რეგიონული საბჭო „განიხილავს ბავშვის რეინტეგრაციის საკითხს სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე და იღებს გადაწყვეტილებას დასკვნისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში, შესაძლო მეურვესთან/მზრუნველთან დაბრუნების/განთავსების შესახებ.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებული ქვეპროგრამის „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფის ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი სახელმწიფო დახმარება“ მიხედვით, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ოჯახები, სადაც ირიცხებიან რეინტეგრირებული ბავშვები, ხოლო რეინტეგრაციის განხორციელებიდან არ არის გასული 3 თვეზე მეტი.

ვენეციის კომისიის მიხედვით,⁴⁶ აუცილებელია ეფექტიანი საკანონმდებლო განრიგების დანერგვა ალტერნატიულ მზრუნველობაში განთავსებულ და ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებულ ბავშვთა ინტერესების მხარდასაჭერად/შესამონმებლად. აღნიშნული კი მოიცავს ბიოლოგიური ოჯახების მხარდაჭერი სერვისებისა და პროგრამების განვითარებას, იმდენად, რომ მათი განხორციელების შედეგად, არასრულწლოვნებს, ოჯახურ გარემოში ცხოვრებისას, გააჩნდეთ სოციალური განვითარებისათვის ყველა საჭირო რესურსი.⁴⁷

45 იქვე.

46 ევროკომისია კანონისმიერ დემოკრატიაზე: ბავშვის უფლებათა დაცვის ანგარიში: საერთაშორისო სტანდარტები და ადგილობრივი კონსტიტუციები, მიღებული ვენეციის კომისიის მიერ თავის 98-ე პლენარული სესიაზე (ვენეცია, 21-22 მარტი, 2014 წელი), [http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2014\)005-e](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2014)005-e)

47 იქვე.

4. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით,⁴⁸ ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან სხვა ოჯახის წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმეების აღსრულების კომპეტენტურ ორგანოდ განსაზღვრულია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ⁴⁹ დაადგინა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში შიდა სასამართლოების მხრიდან არ მომხდარა პროცედურული და პოზიტიური ვალდებულების განხორციელება, რაც განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დავის გადანყვეტის პროცესში ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვისა და გათვალისწინების მნიშვნელობაზე და ამ მიზნით ყველა გარემოების შესწავლის აუცილებლობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რათა მიღებულმა გადაწყვეტილებამ უარყოფითად არ იმოქმედოს არასრულწლოვნის ფსიქოლოგიურ და სოციალური კეთილდღეობაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში, ნ. წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ,⁵⁰ განმარტა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ბავშვის აზრი უნდა იქნეს გათვალისწინებული. ბავშვებს უნდა მიეცეთ საკუთარი აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა და მათ უნდა მოუსმინონ. ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ ბავშვის წარმომადგენელი ვალდებულია, მიაწოდოს ბავშვს ინფორმაცია და განმარტებები არსებული პროცესების თაობაზე, ასევე გაარკვიოს, როგორია თავად ბავშვის მოსაზრება მიმდინარე საკითხებზე. ის ვალდებულია ბავშვის სურვილები და ხედვები გააცნოს სასამართლო ხელისუფლებას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსგან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად,⁵¹ 2015 წლის განმავლობაში ბავშვთან (შვილთან) ურთიერთობის საკითხზე არსებული სასამართლო დავის 559 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში, გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, 125 მიმართვა განხორციელდა. სააღსრულებო მოქმედებების ფარგლებში 53 ბავშვს გაენია ფსიქოლოგიური

48 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის ბრძანება N01-16/6 „ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმეების აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“

49 საქმე გ. ს. საქართველოს წინააღმდეგ (G.S v. GEORGIA), 21.07.2015

50 საქმე – ნ. წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (N.TS. AND OTHERS v. GEORGIA), 02.02.2016

51 კორესპონდენცია N 04/15265, 26.02.2016.

მომსახურება. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო წლის განმავლობაში, 31 შემთხვევაში აღსრულება ვერ განხორციელდა ვალდებული მხარის მიერ ბავშვზე ფსიქოლოგიური ძალადობის, ბავშვის უარის ან აღსრულებით დაინტერესებული პირების გამოუცხადებლობის მიზეზით.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2010 წლის საპარლამენტო ანგარიშში⁵² დადებითად შეაფასა „საქართველოს სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან სხვა ოჯახის წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმეების აღსრულების კომპეტენტურ ორგანოდ, სააღსრულებო ბიუროს ნაცვლად, განისაზღვრა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. მიუხედავად აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებისა, საქართველოს სახალხო დამცველი, 2010 წლიდან, 2012 და 2013 წლების ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშში საუბრობს აღსრულების მექანიზმის ხარვეზებსა და აღნიშნულ პროცესში არასრულწლოვანთა დაცვის კუთხით არსებულ პრობლემებზე. 2015 წლის განმავლობაში, სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრმა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, განიხილა 33 განცხადება, რაც მიუთითებს ამ კუთხით ჯერ კიდევ არსებულ ხარვეზებზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განხორციელებული საქმისწარმოების შედეგებიდან იკვეთება, რომ მოსამართლის მიერ არასრულწლოვანთა საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არ ხდება არასრულწლოვანის აზრის გათვალისწინება, რაც გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში შექმნილი პრობლემის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ამდენად, სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში, ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის როლი და მის მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესრულებული სამუშაო არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესების განსაზღვრის მიზნით.

საქმისწარმოების შედეგებიდან იკვეთება, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, არასრულწლოვანზე ხორციელდება ზეწოლა ოჯახის წევრის (წევრების) მხრიდან, რაც აფერხებს აღსრულების პროცესს. ადგილი აქვს ბავშვის მიმართ ფსიქოლოგიურ, ზოგჯერ კი, ფიზიკურ ძალადობას. აღსრულების პროცესის განხორციელებას, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების სრული დაცვით, ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ ხშირად ვერ ხერხდება არასრულწლოვანისთვის კვალიფიციური ფსიქოლოგის სერვისის მიწოდება. ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტები ვერ ახდენენ არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებას, რაც ართულებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას და საფრთხის ქვეშ აყენებს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვასა და განხორციელებას.


52 საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის საპარლამენტო ანგარიში <http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/84.pdf>

5. ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში – ეთიკური და სამართლებრივი სტანდარტები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მედია საშუალებებში არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქების ეთიკური და სამართლებრივი სტანდარტების დაცვის საკითხი.⁵³ როგორც შემომწმების შედეგად გამოვლინდა, აღნიშნული სტანდარტების იმპლემენტაციის ძირითადი პრობლემები უკავშირდება შემდეგ ძირითად ფაქტორებს (დამატებით, იხ. ცხრილი N6):

- 1) სამაუწყებლო პროგრამებსა და ბეჭდურ მედიაში ბავშვთა პირდაპირი ან/და ირიბი იდენტიფიცირების საშუალების მქონე მასალის გავრცელებას;
- 2) სუიციდის შემთხვევების, სუიციდური მიდრეკილებების მქონე ან სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული სავარაუდო ქმედებების მსხვერპლ ბავშვთა საკითხების არაეთიკურად გაშუქებას;
- 3) არასრულწლოვანთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე ნეგატიური ხასიათისა და მავნე ზეგავლენის შემცველი შინაარსის გადაცემების ჩართვას სამაუწყებლო სივრცეში;
- 4) სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი, სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონის პირობებში მცხოვრები ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის არასათანადო გაშუქებას სამაუწყებლო სივრცეში;
- 5) არასრულწლოვანთა მონაწილეობისა და გამომხატვის უფლების შეზღუდულ იმპლემენტაციას მედიაში გაშუქებულ მასალებში.

ცხრილი №6 – თემატური პრობლემები



53 შემომწმების მეთოდოლოგია ემყარებოდა გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციასა და კომიტეტის (CRC) რეკომენდაციებს, ევროპის მინისტრთა საბჭოს სარეკომენდაციო მითითებებს, ეროვნულ საკანონმდებლო სტანდარტებს ბავშვთა უფლებების მედიაში გაშუქების სფეროში.

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული სავარაუდო ქმედებების გაშუქება – შემონმების შედეგების მიხედვით, 2015 წლის განმავლობაში სატელევიზიო, ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში არასრულწლოვანთა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები, ხშირ შემთხვევაში, ეთიკური და სამართლებრივი სტანდარტების⁵⁴ დარღვევებით შუქდება. აღნიშნულ სფეროში განსაკუთრებით პრობლემური იყო დაზარალებული ბავშვებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების, საცხოვრებელი ადგილის, სასწავლო დაწესებულებისა და საქმის ცალკეული დეტალების იდენტიფიცირება. შესაბამისად, არ იყო გათვალისწინებული გაშუქების შესაძლო ნეგატიური ფსიქოლოგიური ზემოქმედების საკითხები.

2015 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარეობდა საქმისწარმოება⁵⁵ ერთ–ერთ ბეჭდურ მედიაში არასრულწლოვანთა სექსუალური ძალადობის საქმეზე გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის ფარგლებში მიღებული მოწმეთა ჩვენებების გასაჯაროების შესახებ. ბეჭდურ მედიაში დეტალურად იყო აღწერილი სქესობრივი ძალადობის შემთხვევის დეტალები, დაზარალებულ ბავშვთა ჩვენებები და გასაჯაროებული იყო დანაშაულის ჩადენის ადგილი. აღნიშნულ შემთხვევაში საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრმა მიმართა⁵⁶ საქართველოს მთავარ პროკურატურას და მოითხოვა შესაბამისი ღონისძიებების გატარება. თუმცა, სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის შესაბამისი რეაგირება არ განხორციელდა.⁵⁷

არასრულწლოვანთა თვითმკვლელობებისა და სუიციდის რისკის მქონე ბავშვთა საკითხების გაშუქება – საქმისწარმოების შედეგად, აღნიშნული მიმართულებით დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მედიის მიერ ეთიკური ნესების დარღვევით მოხდა ბავშვთა თვითმკვლელობისადმი მიდრეკილებისა და თვითმკვლელობის შემთხვევების იდენტიფიცირება, რასაც შესაძლოა, ნეგატიური ზეგავლენა მოეხდინა არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. რამდენიმე სატელევიზიო გადაცემაში ინფორმაციის გადმოცემის ხერხები ქმნიდა თვითმკვლელობისადმი მიდრეკილების მქონე ბავშვისათვის სუიციდის განხორციელების რისკს. ზოგიერთ შემთხვევაში სახელდებოდა სუიციდის განხორციელების მეთოდი, ფორმა და ხერხი (ერთ–ერთ შემთხვევაში დასახელდა სამედიცინო პრეპარატი, რომელმაც, გამოძიების შედეგების მიხედვით, გამოიწვია არასრულწლოვანის გარდაცვალება).

არასრულწლოვანთა პირდაპირი/არაპირდაპირი იდენტიფიცირების საკითხები – მედია საშუალებებში, ბავშვთა საკითხების გაშუქების პროცესში, შედარებით დაცულია პირდაპირი იდენტიფიცირების აკრძალვის მოთხოვნა, თუმცა ირღვევა არასრულწლოვანთა არაპირდაპირი იდენტიფიცირების აკრძალვის მოთხოვნა, მაგ., რამდენიმე შემთხვევაში მოხდა დაზარალებული ბავშვის საცხოვრებელი ადგილის (თვითმმართველი ქალაქის, მუნიციპალიტეტის დასახელები

54 გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია

55 საქმე N5612/15, 20/05/2015.

56 კორესპონდენცია N10-2/43/05, 01/06/2015.

57 კორესპონდენცია N7040/15, 18/06/2015; კორესპონდენცია N6894/15, 11/06/2015.

ბა), ასევე, სასწავლო დაწესებულების იდენტიფიცირება. აღნიშნული კი არღვევს ბავშვთა საკითხების სამართლებრივი და ეთიკური სტანდარტების მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა არ ათავისუფლებს მედია საშუალებებს ბავშვის მაიდენტიფიცირებელი და საზიანო ინფორმაციის გაშუქებისგან,⁵⁸ რამდენიმე შემთხვევაში, ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, დაფიქსირდა არასრულწლოვანის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია.

რაც შეეხება ბავშვთა საკითხების ეთიკური სტანდარტების დარღვევაზე რეაგირების საკითხს, 2015 წლის 14 ოქტომბერს ხელი მოეწერა⁵⁹ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის შეთანხმებას მაუწყებლებთან, რომლის მიხედვითაც, მემორანდუმის ხელმოწერებმა აიღეს ვალდებულება, თვითრეგულირების კომისიებში მიიღონ და განიხილონ ბავშვთა საკითხებზე კოდექსის ვადებში და პროცედურების დაცვით მიღებული საჩივრები იმ შემთხვევაშიც, როდესაც საჩივრის ავტორი არ წარმოადგენს კოდექსით⁶⁰ გათვალისწინებულ „დაინტერესებულ მხარეს“,⁶¹ თუმცა, ამავე დროს, წარმოადგენს ბავშვთა საკითხებზე ან მედიის სფეროში მოღვაწე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.⁶² 2015 წელს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 2015 წელს, მედია გარემოს მონიტორინგის პროცესში, ასევე გამოიკვეთა, რომ მედია ნაკლებად ცდილობს დაიცვას ბავშვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, განსაკუთრებით, როდესაც ეს ეხება ინფორმაციას ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.⁶³

2015 წლის განმავლობაში საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ, ბავშვთა საკითხების მედიაში გაშუქების ეთიკურ პრინციპებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით, 2 საქმე განიხილა.⁶⁴ და მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა. მათგან გადაწყვეტილება N44 ეხებოდა სოციალურად შეჭირვებული ბავშვების იდენტიფიცირებას, ხოლო გადაწყვეტილება N59 – სექსუალური თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული ქმედების შედეგად დაზარალებული მცირეწლოვანი ბავშვის იდენტიფიცირებას. პირველ საქმეში⁶⁵ ქარტიამ დაადგინა, რომ გადაცემაში ხდებოდა „სოციალურ შეჭირ-

58 მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი.
59 საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია „ბავშვთა საკითხების ეთიკური გაშუქება მედიაში – მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში“, თბ. 2015, გვ. 3.
60 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის დადგენილება №2 „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე (წინამდებარე ანგარიშში – „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“).
61 მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-5 მუხლის „ვ“ პუნქტის მიხედვით, დაინტერესებულ მხარედ განიხილება „ნებისმიერი პირი, რომელსაც ეხება ან რომელიც ნახსენებია პროგრამაში ან მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილებაში“
62 საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია „ბავშვთა საკითხების ეთიკური გაშუქება მედიაში – მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში“, თბ. 2015, გვ. 3.
63 საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია „ბავშვთა საკითხების ეთიკური გაშუქება მედიაში – მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში“, თბ. 2015, გვ. 7.
64 <http://qartia.org.ge/category/8-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%98/>
65 ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის 2015 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდობის კეთილდღეობისათვის გია ჯაჯანიძისა და ხათუნა პაიჭაძის წინააღმდეგ“, <http://qartia.org.ge/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1>

ვებაში მყოფი ბავშვების იდენტიფიცირება, მეტიც, რიგ ეპიზოდებში წამყვანი არასრულწლოვანს კითხვებს უსვამს მისთვის ტრაგიკულ მოვლენებზე, რითაც არაპირდაპირ აიძულებს არასრულწლოვანს, ისაუბროს ისეთ ფაქტებზე რომლებიც მას ემოციურ ტანჯვას აყენებს, დედასთან დაშორების შესახებ, გარემო პირობების იძულებით შეცვლაზე. ბავშვთა უფლებები სადავო გადაცემაში ძალიან უხეშად არის დარღვეული. ფაქტიურად არ არის გათვალისწინებული მათი ინტერესები, მომავალში შესაძლო ნეგატიური შედეგები. მეტიც, არა თუ მომავალში, არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ მსგავსი სახით გადაცემის მომზადებამ, ინტერვიუებმა და შემდგომ ეთერში გასვლამ უკვე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ბავშვთა ემოციურ მდგომარეობაზე“.⁶⁶ მეორე საქმეში⁶⁷ კი, ქარტიამ განაცხადა: „გადაცემაში გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლებელი იყო არასრულწლოვანის იდენტიფიცირება. გასაჯაროვდა ბავშვის სახელი და საცხოვრებელი ადგილი, აგრეთვე, დედის ვინაობა. პასუხისმგებელმა ჟურნალისტებმა არ გაითვალისწინეს შესაძლო ნეგატიური შედეგები, რაც ბავშვის იდენტიფიცირებას შეიძლება მოყვეს, საბჭო ეთანხმება განმცხადებლის პოზიციას, რომ იდენტიფიცირებამ შესაძლოა, „გაზარდოს საზოგადოებაში მის მიმართ მიუღებლობა“. საბჭო აქვე აღნიშნავს, რომ არასრულწლოვნის ვინაობის ან მასთან დაკავშირებული ფაქტების გასაჯაროებაზე მშობლის თანხმობა არ ათავისუფლებს ჟურნალისტს პოზიტიური ვალდებულებისაგან. ჟურნალისტი ვალდებულია, „პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს“. მან თავად უნდა შეაფასოს ის ნეგატიური შედეგები, რაც შეიძლება ბავშვის იდენტიფიცირებას მოჰყვეს“.⁶⁸

ბავშვთა საკითხების მედიაში გაშუქების სამართლებრივი რეგულირება – გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის მე-17 მუხლის მიხედვით, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მნიშვნელოვან როლს და უზრუნველყოფენ, რომ ბავშვს ხელი მიუწვდებოდეს სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო წყაროების ინფორმაციასა და მასალაზე, განსაკუთრებით ისეთი ინფორმაციასა და მასალაზე, რომლებიც მონოდებულია ბავშვის სოციალური, სულიერი და მორალური კეთილდღეობისკენ, აგრეთვე, ჯანსაღი ფიზიკური განვითარებისკენ. ამ მიზნით კი, მე-17 მუხლი „ე“ პუნქტის მიხედვით, სახელმწიფოები ხელს უნდა უწყობდნენ ისეთი ინფორმაციისა და მასალებისაგან ბავშვის დაცვის სათანადო პრინციპების შემუშავებას, რომლებიც ზიანს აყენებს მის კეთილდღეობას, მე-13 და მე-18 მუხლების გათვალისწინებით.

მაუნყებელთა ქცევის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მაუნყებელი ვალდებულია, უზრუნველყოს არასრულწლოვნების დაცვა მავნე ზეგავლენისაგან. ხოლო მე-2 ნაწილის მიხედვით, პროგრამების განრიგის შედგენისას, მაუნყებელმა უნდა დაიცვას ბალანსი არასრულწლოვანთა მავნე ზეგავ-

<http://www.gia-jajandize.org/qa/qa-31/>

66 იქვე.
 67 ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის 2015 წლის პირველი ოქტომბრის N59 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის გია ჯაჯანიძისა და მია სტეფანაძის წინააღმდეგ“, http://qartia.org.ge/phr_gia_jajandize/

68 იქვე.

ვლენისაგან დაცვის უზრუნველყოფასა და ზრდასრული აუდიტორიის უფლებას შორის, დღის განმავლობაში მიიღოს ინფორმაცია. 38-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აკრძალულია მაუწყებლის მიერ ისეთი პროგრამის გადაცემა ან პროგრამაში მასალის განთავსება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არასრულწლოვანთა ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას, ხოლო მე-2 ნაწილის მიხედვით, მაუწყებელი ვალდებულია, გამოიყენოს სამაუწყებლო პროგრამათა კლასიფიკაციის ამ კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმები პროგრამათა კატეგორიების დადგენის მიზნით და განთავსოს ისინი სამაუწყებლო ბადეში ამ კოდექსით განსაზღვრული დროებითი შეზღუდვების შესაბამისად. 38-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს, არსებობს თუ არა არასრულწლოვნების ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ინტელექტუალური და სულიერი განვითარებისათვის მავნე ზეგავლენის მოხდენის რეალური საფრთხე. 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ძალადობის ან მისი შედეგების ამსახველი კადრები, აგრეთვე ძალადობის, როგორც ვიზუალური, ისე ვერბალური აღწერის გადაცემა, უნდა იყოს ჯეროვნად რედაქტირებული 23:00 საათამდე. 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვნის ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლების პატივისცემასთან ერთად, მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს პროგრამაში მონაწილე არასრულწლოვანთა ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სულიერი კეთილდღეობის დაცვა მშობელთა, მზრუნველთა ან მეურვეთა თანხმობის მიუხედავად. „მაუწყებელთა შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, იკრძალება ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე მავნე ზეგავლენის მომხდენი პროგრამების იმ დროს განთავსება, როცა მათ მიერ ამ პროგრამების ნახვის ან მოსმენის დიდი ალბათობა არსებობს.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-8 პრინციპის მიხედვით, „ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები, პროფესიული საქმიანობისას, უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება“.

6. 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა

ფაქტობრივი გარემოებები – 2015 წლის განმავლობაში 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა ერთ-ერთ მწვავე პრობლემად გვევლინება ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში. როგორც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შესწავლის შედეგებიდან იკვეთება, ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის გამომწვევ რისკებს შორის ფიგურირებს სამედიცინო მომსახურების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, ხარისხიანი და დროული მომსახურების მინოდება მოსახლეობისათვის, აგრეთვე, ანტენატალური სერვისების გამართული მუშაობა, ინტრანატალური დახმარების დაწესებულებების (სამშობიარო სახლები ან განყოფილებები) სათანადო სამედიცინო ინვენტარითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვა, მათ შორის, ახალშობილ პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვისათვის საჭირო აღჭურვილობა და მომარაგება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შესაბამისი პროფილის სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის კუთხით არსებული ხარვეზები.

საქართველოში დაბადებიდან 1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის რიცხობრივი მაჩვენებელი 2015 წელს, წინა წლების მაჩვენებელთან შედარებით, შემცირებულია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხლადშობილზე კვლავაც მკვეთრად აღემატება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელს. ამ უკანასკნელის სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყოველ 1000 ცოცხლადშობილზე 6–ს შეადგენს, ხოლო საქართველოს შემთხვევაში, 2015 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 1000 ცოცხლადშობილზე არის 12.⁶⁹ ამასთან, 2013 წელს UNICEF-ის ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მიზეზების კვლევამ გამოავლინა, რომ (ა) თბილისის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ჩვილი ბავშვების გარდაცვალების ალბათობა 1,4-ჯერ აღემატება თბილისში მცხოვრები ჩვილი ბავშვების გარდაცვალების ალბათობას; (ბ) თბილისის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ახალშობილების გარდაცვალების ალბათობა, რომელთა წონა 1,500 კილოგრამი ან მასზე ნაკლებია 1,9-ჯერ უფრო მაღალია სამშობიაროდან განწერამდე პერიოდში და 1,5-ჯერ უფრო მაღალია სამშობიაროდან განწერის შემდგომ პერიოდში.

როგორც აღნიშნული სფეროს ანალიზიდან ჩანს, საქართველოში ახალშობილთა სიკვდილიანობაზე ისეთი ფაქტორები მოქმედებს, როგორიცაა ორსულთა პატრონაჟის სისტემა, მეან-გინეკოლოგებისა და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაცია, პერინატალური მომსახურების ხარისხი, უკიდურესი სიღარიბე, მშობელთა ცნობიერების დაბალი დონე, რაც თავის მხრივ უკავშირდება ინფორმაციული ხელმისაწვდომობის უფლებას და ა.შ.

2014–15 წლების განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული მოქალაქეთა განცხადებებიდან იკვეთება, რომ ბავშვთა ჯანდაცვისა და სიკვდილიანობის სფეროში სამედიცინო პერსონალის მხრიდან, სავარაუდოდ,

⁶⁹ ბავშვთა სიკვდილიანობის სააგენტოთაშორისი ჯგუფის (IGME) მონაცემები. იხილეთ ბმული: http://www.childmortality.org/files_v20/download/IGME%20Report%202015_9_3%20LR%20Web.pdf

ადგილი აქვს გულგრილობის ფაქტებს. გამოიკვეთა, რომ მედიცინის მუშაკები არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არ აწვდიან სათანადო ინფორმაციას. შესაბამისად, მშობელი არ არის სათანადოდ ჩართული არასრულწლოვანის მკურნალობის პროცესში. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევებში, დღის განმავლობაში მშობლებს ბავშვის სანახავად დაახლოებით ერთი საათი აქვთ გამოყოფილი, რაც არასაკმარისია იმისთვის, რომ კანონიერი წარმომადგენელი ფლობდეს სრულყოფილ ინფორმაციას არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მისი მკურნალობის შესახებ.

2015 წელს სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ მიერ შესწავლილ იქნა 0–დან 1 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალების 23 და 1–დან 5 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალების 9 შემთხვევა.⁷⁰ საანგარშო პერიოდის განმავლობაში პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ განხილულ იქნა ჩვილ ბავშვთა გარდაცვალების 15 საქმე, რაზეც პროფესიული პასუხისმგებლობა⁷¹ დაეკისრა 33 ექიმს. საბჭოს მიერ შესწავლილი იქნა 1–დან 5 წლამდე ასაკის მცირეწლოვანთა გარდაცვალების 3 შემთხვევა, ხოლო პასუხისმგებლობა⁷² დაეკისრა 12 ექიმს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში მცირეა ნეონატოლოგებისა და პედიატრების რიცხვი. 2014 წლის მონაცემებით, მათი მთლიანი რაოდენობა 2 364–ს შეადგენს, რაც 1 000 მოსახლეზე უდრის 0,62 ექიმს. რაც შეეხება ექიმების კვალიფიკაციას, უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური გადამზადების პედიატრიული პროფილის საგანმანათლებლო პროგრამები გაიარა 449 ექიმმა, ხოლო უწყვეტი სამედიცინო განათლების პედიატრიული პროფილის პროგრამები – 139 ექიმმა. 138 ექიმმა გაიარა პროფესიული რეაბილიტაცია, დიპლომის შემდგომი პედიატრიული პროფილის საგანმანათლებლო პროგრამები კი დაძლია სპეციალობის 256 მაძიებელმა. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გადამზადებული ექიმების რაოდენობრივი მაჩვენებელი ექიმთა საერთო მაჩვენებელს მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

საქართველოში დედათა სიკვდილიანობის სტატისტიკა, ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში, ძალიან მაღალია. ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით საქართველო ბოლოდან მესამე ადგილს იყოფს უზბეკეთთან ერთად. საერთაშორისო კვლევის საფუძველზე, დედათა სიკვდილიანობა საქართველოში ყოველ 100 000 ცოცხალშობილზე შეადგენს 36–ს.⁷³ პროცენტული მონაცემების მიხედვით, 2015 წლის 6 თვის განმავლობაში დაფიქსირდა დედათა გარდაცვალების 12 შემთხვევა.

70 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი, კორესპონდენცია N 01/7571, 01/02/2016.

71 იქვე, წერილობითი გარფთხილება მიეცა 16 ექიმს, სახელმწიფო სერთიფიკატის მოქმედების ვადა 1 თვით შეუჩერდა 6 ექიმს, 2 თვით – 3 ექიმს, 3 თვით – 3 ექიმს, 4 თვით – 1 ექიმს, 5 თვით – 2 ექიმს, 6 თვით – 2 ექიმს.

72 იქვე, წერილობითი გარფთხილება მიეცა 7 ექიმს, სახელმწიფო სერთიფიკატის მოქმედების ვადა 1 თვით შეუჩერდა 3 ექიმს, 2 თვით – 1 ექიმს, 3 თვით – 1 ექიმს, 4 თვით – 1 ექიმს.

73 ტენდენციები დედათა სიკვდილიანობაში 1990–2015, იხ: გაეროს ბავშვთა ფონდი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი, გაეროს მოსახლეობის ფონდი, გვ. 53 http://apps.who.int/iris/bitstream/10665/194254/1/9789241565141_eng.pdf?ua=1

სამედიცინო დაწესებულებების ტერიტორიულ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ზამთრის სეზონის განმავლობაში, მაღალმთიან რეგიონებში, სადაც იკეტება გზები, სამედიცინო დაწესებულებები უნდა იწარჩუნებდნენ სტაბილურ ფუნქციას და აუცილებლად შეეძლოთ შესაბამისი დონის საავადმყოფოში პაციენტის ტრანსპორტირების უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია, რომ შესაძლებელი იყოს მათი ვერტიკალური გადაყვანა და ჩვილებისათვის რეანიმაციის საკმარისი რაოდენობის არსებობა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსაგან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის მონაცემების მიხედვით 0-1 ასაკის ბავშვის გარდაცვალების შემთხვევაში, ხშირია, როდესაც ბავშვის საცხოვრებელი ადგილისა და გარდაცვალების რეგისტრაციის ადგილი ერთმანეთს არ ემთხვევა, ვინაიდან ახალშობილთა სიკვდილიანობა, ძირითადად, ფიქსირდება მაღალტექნოლოგიურ კლინიკებში. საცხოვრებელ სახლთან ახლოს მდებარე კლინიკები ხშირად ვერ უწევენ მათ შესაბამის მომსახურებას და აუცილებელი ხდება ახალშობილთა ტრანსპორტირება. მშობიარობის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პარალელურად, ცხადია, მნიშვნელოვანია შესაბამისი ხარისხის მომსახურების მიწოდებაც. პრობლემურია ახალი ტექნოლოგიების, შესაბამისი აღჭურვილობის გამოყენების საკითხი. პრობლემას წარმოადგენს, აგრეთვე, ნეონატალოგთა კადრების ნაკლებობა. მნიშვნელოვანია მაღალტექნოლოგიური საავადმყოფოებიდან შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმების გარკვეული პერიოდულობით მივლინება რაიონების საავადმყოფოებში, რაც საგრძნობლად შეუწყობს ხელს იქ მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას.

ბავშვთა სიკვდილიანობის პრევენციის მიზნით, ყურადღება უნდა გამახვილდეს სასიცოცხლო ციკლის უწყვეტობაზე, რაც გულისხმობს ჯეროვანი ყურადღების მიქცევას და შესაბამისი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდებას შემდეგ ეტაპებზე: ჩასახვამდე პერიოდი, ჩასახვა, ანტენატალური პერიოდი, დაბადების პირველი დღეები და ბავშვის ზრდა-განვითარებაზე მეთვალყურეობა ბავშვთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს „ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის ელექტრონული მოდულის“ დაწერვას და იმედოვნებს, რომ აღნიშნული ხელს შეუწყობს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სერვისის გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია მოდულის პრაქტიკაში განხორციელების მეთვალყურეობა და შესაბამისი სამედიცინო პერსონალის გადამზადება ელექტრონული სისტემის გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტის 2008 წლის დასკვნით შენიშვნებში საქართველოს მიმართ, ხაზგასმულია, რომ კომიტეტი შემოთავაზებულია ნეონატალური სიკვდილიანობისა და დღენაკლული ბავშვების დაბადების მაღალი მაჩვენებლით, ასევე პრენატალური და პოსტნატალური ჯანდაცვის ზოგადი მდგომარეობით. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემების მხრივ, რთული გეოგრაფიული მდებარეობა ერთ-ერთ ნამყვან დამ-

აბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს ახალშობილებისა და მაღალი რისკის ორსულების ტრანსპორტირების კუთხით არსებულ პრობლემებს. პრაქტიკაში ფიქსირდება მნიშვნელოვანი ხარვეზები, რაც გამოწვეულია ტრანსპორტირების სისტემის არაეფექტურობით. მნიშვნელოვანია, დაინერგოს კერძო სამედიცინო ტრანსპორტისა და საჯარო სამედიცინო სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების ერთიანი რეგულაცია. კომიტეტმა მოუწოდა საქართველოს, გამოეყო მეტი რესურსი ნეონატალური მკურნალობისა და დღენაკლული ბავშვების დაბადების მაღალი მაჩვენებლის პრობლემის მოსაგვარებლად. კომიტეტმა ასევე მოუწოდა სახელმწიფოს, განიხილოს ისეთი სამთავრობო უწყების დაარსების შესაძლებლობა, რომელსაც დაეკისრება დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე და მის გაუმჯობესებაზე ზრუნვა როგორც აღმასრულებელ, ასევე ეროვნულ დონეზე.

პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს მთავრობას 5 ნლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის პრევენციის ღონისძიებების წინადადებით მიმართა (N10/1528; 23.02.2016) და მოუწოდა, ეფექტიანად შესრულდეს წინადადებაში მითითებული ვალდებულებები და გატარდეს საჭირო ღონისძიებები ჩვილთა და 5 ნლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის პრევენციის მიზნით.

ევროპის ქვეყნების პრაქტიკა – 5 ნლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის აღმოფხვრის ზომებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცნობის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა ევროპის ბავშვთა ომბუდსმენტთა ქსელის ნეერ ქვეყნებს (ENOC). განხორციელდა ევროპის ათი ქვეყნის⁷⁴ კანონმდებლობებისა და პოლიტიკის ანალიზი.

ეს ქვეყნები არაერთ მნიშვნელოვან პროგრამას ახორციელებენ, რომლებიც ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას ისახავს მიზნად. მათ შორისაა ნატურალური რძით კვების ხელშეწყობის, ბავშვთა დაავადებების ინტეგრირებული მართვის, პედიატრიული და ნეონატალური ინტენსიური თერაპიის მოდერნიზაციის პროგრამები.⁷⁵ აღსანიშნავია ბავშვთა დაცვის ეროვნული სტრატეგიები,⁷⁶ ჯანმრთელობის მრავალწლიანი პროგრამები, რომლებმაც აღნიშნული პრობლემა მნიშვნელოვნად შეამცირა.⁷⁷ ამ ქვეყნებში ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების საუკეთესო პრაქტიკა გულისხმობს ასევე საავადმყოფოების ინფრასტრუქტურისა და სასწრაფო დახმარების მანქანების მოდერნიზაციას და ჩვილ ბავშვთა საჭიროებებზე მათ მორგებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დიაგნოსტიკურ და სასწრაფო დახმარების აღჭურვილობას, საოპერაციოებს, რეანიმაციულ და ინტენსიური თერაპიის განყოფილებებს.⁷⁸ სახელმწიფოთა საუკეთესო პრაქტიკა მოიცავს საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების

74 ირლანდია, დიდი ბრიტანეთი (მათ შორის, ჩრდილოეთ ირლანდია და უელსი), ლიტვა, სომხეთი, ნორვეგია, ნიდერლანდები, ბულგარეთი, სერბეთი და ბოსნია-ჰერცეგოვინა.

75 აღნიშნული პროგრამების იმპლემენტაცია განსაკუთრებული ინტენსივობით სომხეთსა და ბულგარეთში მომდინარეობს.

76 ბულგარეთის ბავშვთა საკითხების ეროვნული სტრატეგია, (2008-2018).

77 ლიტვის 1998-2010 და 2014-2025 წლების ჯანდაცვის სტრატეგია; ბულგარეთის ჯანდაცვის ეროვნული სტრატეგია (2014-2020).

78 აღნიშნულს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ლიტვის 2014-2025 წლების ჯანდაცვის სტრატეგიაში (Lithuanian Health Strategy for 2014-2025 years).

კამპანიებს, ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის მაქსიმალურ გავრცელებას, სამედიცინო პერსონალის სისტემურ და სისტემატურ ტრენინგს ჩვილთა მოულოდნელი გარდაცვალების პრევენციის მიზნით, სამედიცინო პერსონალისთვის ერთიანი სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბებას მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციების მიხედვით, პრევენციის ეფექტიანი მექანიზმის შექმნას, აღნიშნულ სფეროში კვლევების ჩატარების ხელშეწყობას, ბავშვთა სიკვდილიანობის რეგულარულ მონიტორინგს.⁷⁹

სამართლებრივი რეგულირება – სიცოცხლის დაცვის ვალდებულება კონსტიტუციით დაცული უფლებაა. იგი დაცული უნდა იყოს განზრახ და გაუფრთხილებლობით მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისაგან.⁸⁰ საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დანესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებასა და ამ საშუალებებით ვაჭრობას.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 24-ე მუხლი განამტკიცებს მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებებს ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ავალდებულებს სახელმწიფოებს, შეამცირონ ახალშობილთა და ბავშვთა სიკვდილიანობის დონე, ხოლო დედებს სათანადო მომსახურება გაუწიონ ჯანმრთელობის დასაცავად მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ პერიოდში; სახელმწიფოს ვალდებულებაზე, დაადგინოს ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტი და მაქსიმალურად უზრუნველყოს 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის პრევენცია და გარდაცვალების მაჩვენებლის შემცირება, ხაზს უსვამენ ისეთი საერთაშორისო დოკუმენტები, როგორცაა, საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მე-12 მუხლი), ევროპის სოციალური ქარტია (მე-11 მუხლი), გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია „ტექნიკური სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ 5 წლამდე ასაკის ბავშვების სიკვდილიანობისა და ავადმყოფობის შემცირებისა და აღმოფხვრის მიზნით პოლიტიკისა და პროგრამების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით“, ასევე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული სახელმძღვანელო პრინციპები „ბავშვზე ორიენტირებული ჯანდაცვის შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით, ბავშვთა სიკვდილიანობის შესამცირებლად აუცილებელია შესაბამისი რისკ-ფაქტორების გათვალისწინება, ამასთან, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ბავშვის კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და განხორციელდეს მათი თანამონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებასა და პრევენციას ისახავს მიზნად საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“.⁸¹ ამ დოკუმენტის მე-4 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო

79 ჯანმრთელი ბავშვი, ჯანმრთელი მომავალი; ჩრდილოეთ ირლანდიის ბავშვთა უნივერსალური ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა, წლიური ანგარიში, (2010); ბავშვთა სიკვდილიანობის მიმოხილვის პროგრამა, წლიური ანგარიში, „უელსის საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ (2015).

80 ოგური თურქეთის წინააღმდეგ (Ogur v Turkey,) 1999-III; 31 EHR 912 GC.

81 იხ. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მუხლები 133 და 134.

პოლიტიკის პრინციპებს შორისაა მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობა ნაკისრი სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში. საქართველოს მთავრობის N308 დადგენილებით განისაზღვრა 2015 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მე-9 დანართით გაინერა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამა.⁸² აღნიშნული დოკუმენტის მიზანია, დედათა და ახალშობილთა სიკვდილიანობის შემცირება, ნაადრევი მშობიარობების რიცხვისა და თანდაყოლილი ანომალიების განვითარების შემცირება ორსულთა ეფექტიანი პატრონაჟისა და მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდისა და მედიკამენტებით უზრუნველყოფის გზით; ბავშვთა დაცვისა და დახმარების სისტემის გაუმჯობესების გზით, ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას ისახავს მიზნად საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის N2315–IIს დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014–2020 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ“ (მე-13 პუნქტი), საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისათვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ (მე-13.3 პუნქტი), „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანება და მათ ნევრ სახელმწიფოებს შორის“ (356-ე მუხლი) და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის N724 დადგენილება „2014–2020 წლების საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფციის „საყოველთაო ჯანდაცვა და ხარისხის მართვა პაციენტთა უფლებების დასაცავად“ დამტკიცების შესახებ“.

82 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2891068> .

7. არასრულწლოვანთა თვითმკვლელობის საკითხი

არასრულწლოვანთა თვითმკვლელობა ერთ-ერთი ყველაზე რთული და კომპლექსური ფენომენია. მის საკვლევად სხვადასხვა დისციპლინათა ერთობლივი მიდგომა აუცილებელია. ეს საკითხი მოიცავს როგორც სამართლებრივ, ისე სოციალურ, კულტურულ და ფსიქოლოგიურ ელემენტებს, რომელთა შესწავლაც მნიშვნელოვანია სუიციდის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე,⁸³ 2015 წელს ქვეყანაში დაფიქსირდა სუიციდის 400 ფაქტი, მათ შორის, 13 – არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი სუიციდი.⁸⁴ 2015 წელს საქართველოში სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით („თვითმკვლელობამდე მიყვანა“) გამოძიება დაწყებული იქნა 1948 სისხლის სამართლის საქმეზე.⁸⁵ 2015 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით „თვითმკვლელობამდე მიყვანა“ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არ დაფიქსირებულია. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით,⁸⁶ სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლი არ ითვალისწინებს მაკვალიფიცირებელ გარემოებად, კონკრეტულად, არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ დანაშაულს, ამასთან, დანაშაულის ფაბულაში ყოველთვის არ არის დეტალურად მითითებული დანაშაულის გარემოებანი, რაც არ იძლევა კონკრეტული მიმართულებით მონაცემების დამუშავების შესაძლებლობას. შესაბამისად, შსს მონაცემებით, ცალკე არასრულწლოვნის მიმართ სსკ 115-ე მუხლით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით მონაცემების დამუშავება არ წარმოებს.

იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია ბავშვთა თვითმკვლელობის პრევენციის ერთიანი დოკუმენტი, ვერ ხერხდება პრობლემის გამომწვევი მიზეზებისა და რისკ-ფაქტორების შესწავლა და შესაბამისად, აღნიშნული ფენომენის წინააღმდეგ ბრძოლა. სახალხო დამცველის აპარატის საქმისწარმოების შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ შესწავლილი ხუთი საქმიდან⁸⁷ არც ერთ შემთხვევაში არ მოხდა სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებაზე ბრალდებული პირის იდენტიფიცირება და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. იმის გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვანთა თვითმკვლელობის მიზეზები არაერთია, აუცილებელია ბავშვების, განსაკუთრებით, თვითმკვლელობისკენ მიდრეკილი ახალგაზრდების ფსიქო-ემოციური რეაბილიტაცია და მათი ინფორმირებულობის გაზრდა არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენისა და თვითმკვლელობის შესახებ,⁸⁸ განსაკუთრებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. ამასთან, მნიშ-

83 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორექსონდენცია N 338338.

84 ზემოთაღნიშნული მონაცემები დამუშავებულია შსს ტერიტორიული დანაყოფების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და შესაბამისად, მოიცავს ინფორმაციას შსს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით.

85 აღნიშნული ინფორმაცია ასახავს მონაცემებს გამოძიების საწყის ეტაპზე. გამოძიების შედეგად, ხშირ შემთხვევაში, სს საქმეები წყდება სსკ 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით („სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო“).

86 იქვე.

87 საქმე N 5275/15, N 5274/15, N 5269/15, N 3594/15 და N 2675/15.

88 ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელების სახელმძღვანელო, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2002, გვ. 88.

ვნელოვანია ბავშვების კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებულობის ამაღლება აღნიშნულ საკითხში.⁸⁹ აუცილებელია, ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებმა, მათ შორის მასწავლებლებმა, სოციალურმა მუშაკებმა, ფსიქოლოგებმა, სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებმა გააცნობიერონ თავიანთი როლი და პასუხისმგებლობა ბავშვის უფლებების დაცვისა და არასრულწლოვანთა თვითმკვლელობის პრევენციის მიმართულებით. შესაბამისად, არსებობს საჭიროება, რათა მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს ბავშვთა თვითმკვლელობის გამომწვევი მიზეზების შესწავლაზე, მიიღოს პრევენციული ზომები აღნიშნულის აღმოსაფხვრელად, გაითვალისწინოს უცხო ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტრომ განახორციელოს არასრულწლოვანთა თვითმკვლელობის ფაქტებთან დაკავშირებით სწრაფი, ეფექტიანი და გამჭვირვალე გამოძიება. უცხო ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის⁹⁰ შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვანთა სუიციდის პრევენციის მიმართულებით, მთელ რიგ ქვეყნებში, მაგალითად, აშშ-ში, ფინეთში, ირლანდიაში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, ნიდერლანდებში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში შემუშავებულია სპეციალური სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს სახელმწიფოთა ვალდებულებებს ბავშვთა თვითმკვლელობის პრევენციისა და შემცირების მიმართულებით და განერს იმ კონკრეტულ ნაბიჯებს მთელი რიგი პროგრამებისა და ქვეპროგრამების სახით, რაც დასახული მიზნების მისაღწევად კონკრეტულ ვადაში უნდა შესრულდეს.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკისრება ბავშვის სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება. კერძოდ, მან მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნება და ჯანსაღი განვითარება. აღნიშნული მუხლი არა მხოლოდ არასრულწლოვანთა თვითმკვლელობის ფაქტების აღრიცხვისა და გამოძიების წარმოების ვალდებულებას გულისხმობს, არამედ სუიციდის ეფექტიან პრევენციასა და შესაბამისი რისკ-ფაქტორების შემცირებასაც. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი შემოფოთებულია მსოფლიოში არასრულწლოვანთა სუიციდის მზარდი მაჩვენებლით და სახელმწიფოებს მოუწოდებს, მიიღონ ეფექტიანი ზომები აღნიშნული ფენომენის გასააზრებლად და მისი პრევენციისა და აღმოფხვრისათვის განახორციელონ მხარდაჭერისა და ინტერვენციის მთელი რიგი პროგრამები, რომელშიც გამოცდილი ექსპერტები მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას.⁹¹ არასრულწლოვანთა თვითმკვლელობის გამომწვევი ფაქტორების მრავალგვარობასა და მათი განსაკუთრებული შესწავლისა და ანალიზის საჭიროებაზე ყურადღება გაამახვილა გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტმა. თავის N13 ზოგად კომენტარში (ბავშვის მიმართ ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის უფლების შესახებ) აღნიშნული ინსტიტუტი ბავშვთა მიმართ ძალადობას განმარტავს, როგორც არასრულწლოვანთა სუიციდის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს და მოუწოდებს სახელმწიფოებს, მაქსიმალურად ეფექ-

89 იქვე.

90 იხ. თვითმკვლელობის საერთაშორისო პრევენცია, 100 საუკეთესო პრაქტიკა, <http://www.gavoorgeluk.be/wp-content/uploads/2014/05/100-BestPractices.pdf>.

91 ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელების სახელმძღვანელო, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2002, გვ. 102, 499.

ტიანი ღონისძიებები გაატარონ აღნიშნული ფენომენის აღმოსაფხვრელად.⁹² ამასთან, კომიტეტმა როგორც 2008 წლის დასკვნით შენიშვნებში საქართველოს მიმართ, ასევე, N15 ზოგად კომენტარში (ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი შესაძლებელი სტანდარტით სარგებლობის შესახებ) ხაზი გაუსვა სუიციდური ქცევის პრევენციისა და აღმოფხვრის აუცილებლობას და ამ კუთხით შესაბამისი ზომების მიღებას.⁹³

92 ზოგადი კომენტარი N 13 (2011), ბავშვის უფლება, თავისუფალი იყოს ძალადობის ყველა ფორმისგან, ბავშვის უფლებათა კომიტეტი, 2011, პარა. 15, 28.

93 ზოგადი კომენტარი N 15 (2013) ბავშვის უფლება, ისარგებლოს ჯანდაცვის უმაღლესი სტანდარტის მომსახურებით, ბავშვის უფლებათა კომიტეტი, 2013, პარა. 34, 38.

8. არასრულწლოვანთა არამართლზომიერი გადაყვანა სახელმწიფო საზღვარზე გადაყვანა სახელმწიფო საზღვარზე

არასრულწლოვანთა არამართლზომიერი გადაყვანა სახელმწიფო საზღვარზე ერთ–ერთი პრობლემური საკითხია ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში. 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, გაიზარდა სახალხო დამცველის მიმართ აღნიშნული მიმართულებით საჩივრების რაოდენობა.⁹⁴ განხორციელებული შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ შესწავლილ შემთხვევებში, არასრულწლოვანთა სავარაუდო უკანონო გადაყვანა საზღვარზე, ძირითადად, ერთ–ერთი მშობლის მიერ მეორე კანონიერი წარმომადგენლის შეტყობინებისა და მისი თანხმობის გარეშე ხდება. ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ ხშირ შემთხვევაში სხვა ქვეყანაში გასვლა, სავარაუდოდ, გაყალბებული დოკუმენტაციით ხორციელდება, ბავშვის პოვნისა და საქართველოს ტერიტორიაზე დაბრუნების პროცესი განსაკუთრებით გართულებულია.⁹⁵

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მონოდებული ინფორმაციით, სამინისტროს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტი სახელმწიფო საზღვარზე არასრულწლოვნის უკანონო გადაყვანისა და აღნიშნული ქმედების მცდელობის (არასრულწლოვნის არამართლზომიერი გადაყვანა სახელმწიფო საზღვარზე) სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვას სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოთხოვნილი ფორმით არ აწარმოებს.⁹⁶

საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ განსაზღვრავს არასრულწლოვანთა საზღვარზე გადაყვანის რეჟიმს. დოკუმენტის მე–8 მუხლის თანახმად, ბავშვის საქართველოდან დროებითი გასვლა შესაძლებელია მისი ერთ–ერთი კანონიერი წარმომადგენლის ნებართვით და სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირის თანხლებით.⁹⁷ პასპორტის⁹⁸ და ვიზის აღებისთვის⁹⁹ კი ორივე კანონიერი წარმომადგენლის თანხმობაა საჭირო.¹⁰⁰ თუმცა სიტუაცია გაცილებით რთულდება მაშინ, როდესაც არასრულწლოვანი მიჰყავთ ისეთ სახელმწიფოში, რომლის ტერიტორიაზე შესვლასაც ვიზა არ ესაჭიროება. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე–11 მუხლის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ ზომებს ბავშვთა უკანონოდ გადაადგილების ან საზღვარგარეთ მათი უკანონოდ დატოვების წინააღმდეგ საბრძოლველად. აღნიშნული მუხლი გულისხმობს სახელმწიფოთა ვალდებულებას, მოახდინონ ეფექტური პრევენცია და მაქსი-

94 2014 წლის მონაცემებით, შესწავლილი საქმეებიდან მხოლოდ ორი ეხებოდა არასრულწლოვნის სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადაყვანას, მაშინ, როდესაც 2015 წელს იგივე მონაცემი 7–მდე გაიზარდა.

95 საქმე N 9326/15 და N 14927/15.

96 შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია N 262339

97 სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირის თანხლების მოთხოვნა არ ვრცელდება 16–18 წლის არასრულწლოვნების მიერ საზღვრის გადაკვეთის პროცედურაზე.

98 http://sda.gov.ge/?page_id=5103

99 იხ. სავიზო ინფორმაცია საქართველოს მოქალაქეებისათვის <http://www.mfa.gov.ge/MainNav/ConsularInformation/VisaInfoGeorgian.aspx>

100 16–18 წლის არასრულწლოვნების მიერ პასპორტის აღების დროს საჭიროა მხოლოდ ერთ–ერთი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

მალურად შეამცირონ აღნიშნული შემთხვევები. ამ მუხლის მიხედვით, ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზა დასახული მიზნების მისაღწევად, სახელმწიფოების მიერ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების დადება ან მოქმედ შეთანხმებებთან მიერთებაა. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს ჰააგის 1980 წლის კონვენცია „ბავშვთა საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“, რომელიც საქართველოსთვის ძალაში 1997 წლის 1 ოქტომბერს შევიდა. საქართველომ აიღო ვალდებულება, ითანამშრომლოს ხელშემკვრელი სახელმწიფოების კომპეტენტურ უწყებებთან ისეთ საკითხებში, როგორცაა ბავშვის გატაცებასთან დაკავშირებული გარემოებების აღმოჩენა და შესწავლა, დავის მშვიდობიანი გადანაცვება, ბავშვების სწრაფი დაბრუნების უზრუნველყოფა, ადმინისტრაციული და სასამართლო პროცედურების განხორციელება და რელევანტური ინფორმაციის გაცვლა.¹⁰¹ სახელმწიფოები ვალდებული არიან, მოახდინონ ზემოაღნიშნული დოკუმენტების დებულებების ეფექტიანი იმპლემენტაცია ეროვნულ კანონმდებლობაში, თუმცა, საქართველოს ნორმატიულ ბაზაში ზემოაღნიშნული ჯერჯერობით არ განხორციელებულა.

101 ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 22 ივნისის N319 ბრძანებულების მიხედვით, ცენტრალურ ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

9. ბავშვის მიმართ ძალადობა

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლით გარანტირებულია ბავშვის უფლება, დაცული იყოს ნებისმიერი ფორმის ძალადობისგან. ამავე მუხლით განსაზღვრულია სახელმწიფოს ვალდებულება, განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიზნით და გაატაროს სათანადო ზომები ძალადობის მსხვერპლი ბავშვის რეაბილიტაციისა და მხარდაჭერისთვის, ასევე, მოახდინოს ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირება და მასზე შემდგომი რეაგირება.

2015 წელს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის მიერ შესწავლილ ბავშვის უფლებების ინდივიდუალური დარღვევების საქმეთა შორის კვლავ გამოვლინდა ბავშვის მიმართ სხვადასხვა ფორმით ძალადობის მაღალი მაჩვენებელი. (იხ. საქმისწარმოების სტატისტიკური ცხრილი). ამ მიმართულებით, მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტის იდენტიფიკაციის სირთულე, ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნების დაცვისა და რეაბილიტაციის სისტემების პრაქტიკული დანერგვის აუცილებლობა, სოციალური მომსახურების სფეროში მომუშავე პროფესიონალ ფსიქოლოგთა ნაკლებობა, აგრეთვე შესაბამის სტრუქტურებს შორის არასაკმარისი თანამშრომლობა.

ბავშვის დაცვა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებისგან – 2015 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატი განხორციელებული საქმისწარმოების შედეგების მიხედვით, ბავშვთა მიმართ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებთან მიმართებაში, იკვეთება პასუხისმგებელი პირების მიერ რეაგირების სისტემის პრაქტიკაში აქტიური ამოქმედების, დროული და ეფექტიანი გამოძიების, პასუხისმგებელი პირების გამოვლენის, შესაბამისი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და დაზარალებულ არასრულწლოვანთა საპროცესო უფლებების დაცვის პრობლემები. ამასთან, არასათანადოდ ხორციელდება სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისა და სავარაუდო მოძალადე არასრულწლოვანთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია. ხშირ შემთხვევაში, გამოძიების პროცესი ჭიანურდება და იკვეთება ბრალდებული/პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირების პრობლემა, რასაც ადასტურებს არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესახებ 2014–2015 წლების სტატისტიკური ინფორმაციის მაჩვენებელი. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია N2134/15) მიხედვით, 2014 წლის (11 თვის მდგომარეობით) განმავლობაში არასრულწლოვანის მიმართ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ 80 შემთხვევაზე დაიწყო გამოძიება, მათგან სისხლისსამართლებრივი დევნა კი განხორციელდა 38 შემთხვევაში. ამასთან, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოთხოვილი სტატისტიკური მონაცემების (საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამ-

მართველოს კორესპონდენცია N3183/15) მიხედვით, 2014 წლის განმავლობაში სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შედეგად დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა 48 არასრულწლოვანს. 2015 წლის იანვარ-თებერვლის მონაცემების მიხედვით კი, არასრულწლოვანთა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ სავარაუდო ქმედებებზე – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137–141-ე მუხლების კვალიფიკაციით სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია 7 შემთხვევაზე, ხოლო დაზარალებულ პირად 6 არასრულწლოვანია ცნობილი.

რთულია ბავშვზე სექსუალური ხასიათის ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირება, გამოვლენა და მათზე დროული რეაგირება. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებს, მათ შორის, მასწავლებლებს, რომლებსაც ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ არასრულწლოვნებთან. გამოიკვეთა, რომ საჯარო სკოლებსა და სპეციალიზებულ დაწესებულებებში პრობლემას წარმოადგენს ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტის რეფერირების პროცედურის დროული განხორციელება და შემთხვევაზე შემდგომი ზედამხედველობა. პრობლემურია, საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის ისეთ მომსახურებაში ან მომსახურებებში განთავსების საკითხი, რაც ხელს შეუწყობს მის უსაფრთხოებასა და რეაბილიტაციას. ამასთან, ძალადობის ფაქტების გამოვლენა ფერხდება ძალადობის ნიშნების გაუცნობიერებლობის, ასევე ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესახებ ბრძანების განხორციელებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებს შორის სუსტი კოორდინაციის გამო.

გართულებულია სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის ადექვატური ფსიქოლოგიური სერვისის მიწოდებისა და რეაბილიტაციის საკითხიც. რიგ შემთხვევებში, არ ხორციელდება დაზარალებული ბავშვების ემოციური მდგომარეობის საფუძვლიანი ანალიზი. არის შემთხვევები, როდესაც ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვანის ფსიქოლოგიური მდგომარეობის პირველად შეფასებას ახდენს და რეაბილიტაციის საჭიროებას განსაზღვრავს არა ფსიქოლოგი, არამედ სოციალური მუშაკი. ასეთ მაგალითს წარმოადგენს მცირეწლოვანი ქ.უ.–ს მიმართ გარყვნილი ქმედების სავარაუდო განხორციელების შემთხვევა (საქმე N2317/15).¹⁰² ასევე გამოიკვეთა, რომ რიგ შემთხვევებში პრობლემურია საქმის მოკვლევაში ჩართული პასუხისმგებელი სუბიექტების მიერ დაკისრებული მოვალეობის ეფექტური შესრულება და შესაბამის უწყებებთან სრულფასოვანი კომუნიკაცია ინფორმაციის გაცვლის მიზნით.

სამართლებრივი რეგულირება – არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის, ექსპლუატაციისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უფლებების საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან შესაბამისო-

102 ამ ფაქტზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლით და გამოვლინდნენ პასუხისმგებელი პირები, თუმცა დაზარალებული ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასება განხორციელდა სოციალური მუშაკის და არა ფსიქოლოგის მიერ. აღნიშნულ საქმეში სოციალური მუშაკის მიერ არამიზანშენილად იქნა მიჩნეული შემდგომი ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კორესპონდენცია N04/18360, 16/03/2015 (შიდა N 3129/15).

ბაშია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი. აღნიშნული მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის დასაცავად, სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა. 2014 წელს საქართველო შეუერთდა ევროპის საბჭოს კონვენციას „სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტი საქართველოში ამოქმედდა 2015 წლიდან. წარმოდგენილი კონვენცია ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის აღმოფხვრისა და პრევენციის სფეროში მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს ადგენს, თუმცა მათი პრაქტიკაში დანერგვისათვის საჭიროა, ხელისუფლების განმახორციელებელმა სამივე შტომ, თავიანთი კომპეტენციების მიხედვით, უზრუნველყოს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. მეტად რელევანტურია კონვენციის მე-6 მუხლი, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ „დაწყებითი და საშუალო განათლების პერიოდში ბავშვთა მიერ ინფორმაციის მიღება სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობის, ასევე საკუთარი თავის დაცვის საშუალებათა შესახებ, მათი განვითარების დონის შესაბამისად.“ საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტის სახით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი ახდენს წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვის დეკლარირებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ აღნიშნული მუხლის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაული, როგორცაა გაუპატიურება, მიჩნეულ უნდა იქნეს წამებად.¹⁰³ კონვენციის მე-3 მუხლი მომეტებულ პასუხისმგებლობას აკისრებს სახელმწიფოს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის სფეროში და ხელისუფლების განმახორციელებელი სამივე შტოს დონეზე, პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების ფარგლებში, მოუწოდებს მას, უზრუნველყოს დროული და ეფექტიანი ღონისძიებების იმპლემენტაცია. გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რათა დაიცვან არასრულწლოვანი ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის, სექსუალური ძალადობისგან. ამასთან, გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტმა (CRC) 2008 წლის 23 ივნისის „ბავშვის უფლებების შესახებ დასკვნითი შენიშვნების“ პარაგრაფებში¹⁰⁴ მიუთითა საქართველოს ვალდებულებაზე, მიიღოს ყველა ზომა არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის, განსაკუთრებით კი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებების კომიტეტის მე-13 ზოგადი კომენტარის „ბავშვის უფლება, დაცული იყოს ყველა ფორმის ძალადობისგან“¹⁰⁵ განმარტების მიხედვით, ბავშვ-

103 ოდინი თურქეთის წინააღმდეგ (Audin v. Turkey, 1997-VI, ECtHR).

104 ბავშვის უფლებათა კომიტეტი, „წევრი სახელმწიფოების მიერ ბავშვის უფლებათა კონვენციის 44-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილი ანგარიშების განხილვა“ <http://www.refworld.org/type,CONCOBSERVATIONS,CRC,GEO,4885cfab0,0.html>.

105 ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N13(2011): „ბავშვის უფლება, დაცული იყოს ყველა ფორმის ძალადობისგან“, 18 აპრილი, 2011, CRC/C/GC/13.

თა მიმართ სექსუალური ძალადობა მოიცავს როგორც ფიზიკური ძალადობის, ისე ფსიქოლოგიური ძალადობის გამოყენებით, მის მიმართ სექსობრივი თავისუფლების ხელშემშლელი ქმედების განხორციელებას.¹⁰⁶ საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის N2315-II დადგენილების – სს „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014–2020 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ“ მე-13 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, პრიორიტეტად უნდა იქნეს მიჩნეული ნებისმიერი სახის ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის უზრუნველყოფა და ძალადობის ფაქტებზე სწრაფი და ეფექტური რეაგირება.

ძალადობისგან დაცვის უფლება სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში – საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული საქმისწარმოების შედეგად იკვეთება, რომ 2015 წელს, ადრეულ, სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის, უგულბეღყოფისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის შემთხვევები კვლავაც აქტიუალურია და საჭიროებს პასუხისმგებელი სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დროული და ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელებას.

ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ძალადობის, ექსპლუატაციისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის მექანიზმებს ითვალისწინებს „ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ“ 2015 წლის კანონპროექტი. დოკუმენტში განერილია ერთი მხრივ, განმარტებები ძალადობისგან დაცვის სფეროში, ხოლო მეორეს მხრივ, ბავშვთა ძალადობისგან დაცვის აღსრულებადი ხასიათის ნორმები. კანონპროექტში გაიწერა ძალადობის დეფინიცია.¹⁰⁷ ამასთან, მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს ბავშვზე ძალადობის პრევენცია (მათ შორის, მშობელთა განათლება და ინფორმირება), იდენტიფიკაცია, შეფასება, შეტყობინება და შესაბამისი რეაგირება, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების მიხედვით. დაწესებულება ასევე ვალდებულია, გამოყოს დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციასა და ბავშვთა ძალადობისგან დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. კანონპროექტის აღნიშნული რეგულაციები ეხმიანება საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის რეკომენდაციებს¹⁰⁸ ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ძალადობისგან დაცვის სფეროში, თუმცა მათი დროული და ეფექტიანი იმპლემენტაციისათვის, აუცილებელია სკოლამდელი აღზრდის პედაგოგთა საყოველთაო და დროული გადამზადება ბავშვის რთული ქცევის, ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციისა და რეფერირების სფეროში. ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა ძალადობისგან დამცავი ნორმების დანერგვის პრობლემები ფიქსირდება შემდეგი მიმართულებებით: ძალადობის მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიცირება, შეფასება, რეფერირება კომპეტენტური უწყებებისადმი, ფსიქოლოგის დახმარება. რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა ძალადობისგან დაცვის საკითხს, საქართველოს სახალხო დამცველისადმი წარმოდგენილ განცხადებებში ფიგურირებს შემდეგი ძირითადი ფაქტორები: მოს-

106 იქვე, პარაგრაფი 25.

107 კანონპროექტის მე-3 მუხლის „უ“ ქვეპუნქტი.

108 საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, ბავშვის უფლებები.

წავლეთა მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირება და რეფერირების პროცედურის განხორციელება. ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაცია. ადრეულ სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის, უგულბელოებისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის მიმართულებით სახალხო დამცველის აპარატში შემოსული საჩივრების/განცხადებების 30%-ში ფიგურირებს საჯარო სკოლებში მოსწავლეების მიმართ სავარაუდო ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები, 20% ეხება ფიზიკური ძალადობის სავარაუდო ფაქტებს; 20%-ში განმცხადებლები მიუთითებენ საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელების მიმართ უგულბელოების შემთხვევებზე, ხოლო 30%-ში ფიზიკური ძალადობისა და სხეულებრივი სასჯელების გამოყენებაზე. სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინფორმაციის¹⁰⁹ მიხედვით, საჯარო სკოლებიდან აღნიშნულ დაწესებულებაში 55 სუიციდური აზრების/ქცევების მქონე ბავშვი იქნა გადამისამართებული. რაც შეეხება რეგიონულ ცენტრებში გადამისამართებულ შემთხვევათა რაოდენობას, 2015 წელს, თბილისის ცენტრში დაფიქსირდა 772 შემთხვევა, ბათუმში – 140, ქუთაისში – 136, ფოთში – 82, გორში – 63 და თელავში – 35.¹¹⁰ 400 საჯარო სკოლის 1 070 მანდატური გადამზადებულია ბავშვთა მიმართ ძალადობის სფეროში. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებებიდან ირკვევა, რომ საჯარო სკოლების მანდატურთა მიერ არასათანადოდ ხორციელდება ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირება და საჯარო სკოლების წარმომადგენლებთან ერთად, ძალადობის შემთხვევების დროული გადამისამართება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიურ ცენტრში.

109 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის კორესპონდენცია N MES 716 00089086, 03/02/2016.

110 იქვე.

10. ბავშვთა სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დასვის უფლება

2015 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგებით დგინდება, რომ ბავშვები სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვის უფლებით ჯეროვნად და ეფექტიანად ვერ სარგებლობენ. არასრულწლოვანთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს ფარდობითი სიღარიბისა და არასათანადო სოციალური გარემოს პირობებში.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზიდან იკვეთება სათანადო საცხოვრისისა და სახელმწიფო და მუნიციპალური დახმარების დროულად მიღების საკითხები. რამდენიმე შემთხვევაში გამოიკვეთა ბავშვების სათანადო საკვებით, საყოფაცხოვრებო პირობებითა და ჯეროვანი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო ინვენტარით უზრუნველყოფის პრობლემები.

სახალხო დამცველისადმი წარდგენილ განცხადებებში მოქალაქეები ძირითადად მიუთითებენ, რომ ჭიანჭურდება ცალკეულ მიზნობრივ სოციალურ დახმარებაში ჩართვის პროცესი, მათ შორის, აღსანიშნავია „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი სახელმწიფო დახმარების“ ქვეპროგრამა, სადაც საქმისწარმოების 60%-ში მოსახლეობას არ მიუღია წერილობითი ინფორმაცია ქვეპროგრამაში ჩართვის თანხმობისა თუ უარის შესახებ.

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრში ბავშვთა სიღარიბის კუთხით შესწავლილი საქმეების 55%-ში გამოიკვეთა ადექვატური საცხოვრებელი პირობებით სარგებლობის შეზღუდვები, 45%-ში კი – კვების პროდუქტებით, მედიკამენტებითა და საგანმანათლებლო ინვენტარით უზრუნველყოფის პრობლემები. ამასთან აღსანიშნავია, რომ განხილული საქმეების 55%-ში მოსახლეობას არ ჰქონდა ჯეროვანი ინფორმაცია სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ფარგლებში მოქმედი სოციალური დახმარების ქვეპროგრამების შესახებ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემების მიხედვით, 2015 წლის დეკემბრისთვის 34 002 არასრულწლოვანი იყო სოციალური პაკეტის მიმღები ბენეფიციარი.¹¹¹ ამასთან, 2015 წლის დეკემბრისთვის, მიზნობრივი სოციალური დახმარების ქვეპროგრამებში ჩართული იყო 0–დან 6 წლამდე ასაკის 75 806 ბენეფიციარი, ხოლო 6–დან 18 წლამდე ასაკის 226 131 ბენეფიციარი.¹¹² „სოციალ-

111 http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=883

112 2015 წელს მიზნობრივი სოციალური დახმარების ქვეპროგრამაში ბენეფიციართა ჩართვის მაჩვენებელი არის შემდეგი: **იანვარი** - 0-დან 6 წლამდე 84 206 და 6-დან 18 წლამდე 236 922 ბენეფიციარი; **თებერვალი** - 0-დან 6 წლამდე 82 926 და 6-დან 18 წლამდე 236 721 ბენეფიციარი; **მარტი** - 0-დან 6 წლამდე ასაკის 82 490 და 6-დან 18 წლამდე 236 617 ბენეფიციარი; **აპრილი** - 0-დან 6 წლამდე ასაკის 82 249 და 6-დან 18 წლამდე ასაკის 236 676 ბენეფიციარი; **მაისი** - 0-დან 6 წლამდე ასაკის 82 023 და 6-დან 18 წლამდე ასაკის 236 902 ბენეფიციარი; **ივნისი** - 0-დან 6 წლამდე ასაკის 80 400 და 6-დან 18 წლამდე ასაკის 235 631 ბენეფიციარი; **ივლისი** - 0-დან 6 წლამდე 79 194 და 6-დან 18 წლამდე ასაკის 234 909 ბენეფიციარი; **აგვისტო** - 0-დან 78 250 და 6-დან 18 წლამდე 234 577 ბენეფიციარი; **სექტემბერი** - 0-დან 6 წლამდე ასაკის 77 210 და 6-დან 18 წლამდე ასაკის 232 984 ბენეფიციარი; **ოქტომბერი** - 0-დან 6 წლამდე ასაკის 76 568 და 6-დან 18 წლამდე ასაკის 231 969 ბენეფიციარი; **ნოემბერი** - 0-დან 6 წლამდე ასაკის 75

ური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამაში 2015 წლის დეკემბრის თვის მონაცემებით, ჩაერთო 466 არასრულწლოვანი¹¹³, კვების ვაუჩერით ისარგებლა 944–მა მცირეწლოვანმა ბავშვმა¹¹⁴.

სამართლებრივი რეგულირება – არასრულწლოვანთა სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვის უფლება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 36–ე მუხლის მე–2 პუნქტით, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 27–ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყოველი ბავშვის უფლებას მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების დონეზე. ამავე მუხლის მე–3 პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ეროვნული პირობების შესაბამისად და თავიანთი შესაძლებლობები ფარგლებში მიმართავენ საჭირო ზომებს, რათა დახმარება გაუწიონ მშობლებს და ბავშვის აღზრდელ სხვა პირებს ამ უფლების განხორციელებაში და აუცილებლობის შემთხვევაში, მატერიალურ დახმარებას უწევენ და ხელს უწყობენ, განსაკუთრებით, კვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებელი უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პროგრამებს. ევროპის სოციალური ქარტიის მე–17 მუხლში განერილია, რომ ბავშვებისა და ახალგაზრდა პირების უფლების – აღიზარდონ ისეთ გარემოში, რომელიც ხელს შეუწყობს მათი პიროვნების და მათი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების სრულ განვითარებას – ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, უშუალოდ ან საჯარო და კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მიიღონ ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა.

„ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა“ შესახებ საერთაშორისო პაქტის მე–10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ოჯახს, რომელიც საზოგადოების ძირითადი ერთეულია, უნდა გაენიოს შეძლებისდაგვარად ყველაზე ფართო დახმარება, განსაკუთრებით მისი შექმნის დროს და იმ პერიოდში, სანამ ბავშვზე ზრუნვის და მისი აღზრდის პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე ის დამოუკიდებელი გახდებოდეს. ამავე პაქტის მე–11 მუხლი არეგულირებს, რომ წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, მას და მის ოჯახს ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე, შესაფერისი კვების, ტანისამოსის და ბინის ჩათვლით, აგრეთვე, უფლებას, განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს. პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ამ უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად მიიღებენ შესაბამის ზომებს, აღიარებენ რა, ამ მხრივ, თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებული საერთაშორისო თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობას.

977 და 6–დან 18 წლამდე ასაკის 229 009 ბენეფიციარი; **დეკემბერი** - 0–დან 6 წლამდე ასაკის 75 806 და 6–დან 18 წლამდე ასაკის 226 131 ბენეფიციარი. http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=767

113 2015 წელს ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამაში ბენეფიციართა ყოველთვიური ჩართულობის მაჩვენებელი იყო შემდეგი: **იანვარი** - 394; **თებერვალი** - 452 ბენეფიციარი; **მარტი** - 448 ბენეფიციარი; **აპრილი** - 456 ბენეფიციარი; **მაისი** - 398 ბენეფიციარი; **ივნისი** - 443 ბენეფიციარი; **ივლისი** - 465 ბენეფიციარი; **აგვისტო** - 325 ბენეფიციარი; **სექტემბერი** - 466 ბენეფიციარი; **ოქტომბერი** - 471 ბენეფიციარი; **ნოემბერი** - 477 ბენეფიციარი; **დეკემბერი** - 466 ბენეფიციარი.

114 2015 წელს კვების ვაუჩერის ქვეპროგრამაში ბენეფიციართა ყოველთვიური ჩართულობის მაჩვენებელი იყო შემდეგი: **იანვარი** - 855 ბენეფიციარი; **თებერვალი** - 975 ბენეფიციარი; **მარტი** - 978 ბენეფიციარი; **აპრილი** - 986 ბენეფიციარი; **მაისი** - 993 ბენეფიციარი; **ივნისი** - 979 ბენეფიციარი; **ივლისი** - 988 ბენეფიციარი; **აგვისტო** - 999 ბენეფიციარი; **სექტემბერი** - 996 ბენეფიციარი; **ოქტომბერი** - 947 ბენეფიციარი; **ნოემბერი** - 937 ბენეფიციარი; **დეკემბერი** - 944 ბენეფიციარი.

11. ქუჩაში მსხოვრები და მომუშავე ბავშვები

დადებითად უნდა აღინიშნოს საანგარიშო პერიოდში ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების უფლებების დასაცავად საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის შემუშავება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ განისაზღვრა მიუსაფარი ბავშვის ცნება და მიუსაფარი ბავშვებისთვის დოკუმენტაციის მონესრიგების საკითხი. არასრულწლოვნების ძალადობისგან დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სოციალურ მუშაკს მიენიჭა უფლება, ბავშვთა მიმართ ნებისმიერი ფორმით განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში, თავად მიიღოს გადაწყვეტილება არასრულწლოვნის მოძალადისგან განცალკევების შესახებ. აღნიშნული ცვლილებების პარალელურად, მათი პრაქტიკაში იმპლემენტაციის მიზნით, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს აღსრულების მექანიზმები და ამალდეხს პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენლების, განსაკუთრებით კი სოციალური მუშაკების კვალიფიკაცია.

სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარე საქმისწარმოების შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება სახელმწიფოს მხრიდან ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ძალადობისა და უგულვებლყოფისგან დაცვის საკითხი. პრობლემურია მათი განათლებისა და ჯანდაცვის უფლების უზრუნველყოფა, ასევე, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირება და მათთვის პირადი დოკუმენტაციის მონესრიგება.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დაცვისთვის საჭირო ღონისძიებების შესახებ. რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გარკვეულ შემთხვევებში, არ თანამშრომლობს მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ფარგლებში მოქმედ მობილურ ჯგუფებთან. განსაკუთრებით პრობლემურია რეფერირების პროცედურის განხორციელება, რაც ართულებს ქუჩაში მცხოვრებ/მომუშავე ბავშვებთან მუშაობას და მათ განთავსებას საჭირო მომსახურებებში.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსგან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,¹¹⁵ 2015 წლის განმავლობაში, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან განხორციელდა 11 მიმართვა. საყურადღებოა, რომ აქედან 4 მიმართვა განხორციელდა ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტზე, რომელთაგანაც რეაგირება მოხდა მხოლოდ 2 შემთხვევაზე, პროსტიტუციაში სავარაუდო ჩართვის ფაქტზე 2 შეტყობინება განხორციელდა, ხოლო რეაგირება მოხდა ერთზე. რეფერირება განხორციელდა ასევე მოწყალეების თხოვნის და უგულვებლყოფის ფაქტებზე – 4 შეტყობინება, რომელთაგანაც რეაგირება მოხდა მხოლოდ ერთ შემთხვევაზე. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, რეაგირების გარეშე დარჩა ტრეფიკინგში სავარაუდო ჩართვის ერთი შეტყობინება. პრობლემის მასშტაბურობის გათვალისწინებით, აღნიშნული მაჩვენებელი ნამდვილად დაბალია, რაც უწყებებს

115 კორესპონდენცია N04/12372

შორის კოორდინაციის ნაკლებობაზე, რეფერირების პროცედურების არაეფექტურობასა და პასუხისმგებელი ორგანოების არასათანადო ინფორმირებულობაზე მიუთითებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,¹¹⁶ 2015 წელს გამოვლინდა არასრულწლოვნის მიმართ შრომითი ექსპლუატაციის ორი შემთხვევა და ტრეფიკინგის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის ერთ საქმეზე. ამავე წერილით გვეცნობა, რომ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს შემონმების ოთხი მობილური ჯგუფი, რომლებიც დაკომპლექტებულია სამართალდამცავი ორგანოებით. გამომდინარე იქედან, რომ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები მიეკუთვნებიან მონყვლად ჯგუფს და მათ მიმართ არსებობს ორგანიზებული დანაშაულის ნიშნების გამოკვეთის მაღალი რისკი, სავარაუდო დანაშაულის დროულად გამოვლენისა და გამოძიების მიზნით, მნიშვნელოვანია, გაძლიერდეს თანამშრომლობა მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში არსებულ მობილურ ჯგუფებსა და შემონმების ზემოაღნიშნულ მობილურ ჯგუფებს შორის.

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენლების კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებაზე ზრუნვა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,¹¹⁷ 2015 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო დეპარტამენტის მხოლოდ 20 თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგი მიუსაფარი ბავშვების მიმართ ჩადენილი დანაშაულის/ძალადობის იდენტიფიცირების საკითხებზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურების 12 წარმომადგენელს და პროკურატურის 8 თანამშრომელს კი ჩაუტარდა ტრენინგი მიუსაფარი ბავშვების მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების ტექნიკაზე. აღნიშნული მონაცემები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მიუსაფარი ბავშვების საკითხებთან დაკავშირებით, პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენლების, განსაკუთრებით კი, საპატრულო პოლიციის ინფორმირება და კვალიფიკაციის ამაღლება არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი.

სოციალური მომსახურების სააგენტოსგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, დღემდე კონტაქტი დამყარდა 634 ქუჩაში მცხოვრებ და/ან მომუშავე ბავშვთან. ბავშვების უმეტესობას არ გააჩნია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2015 წელს დღის ცენტრის მომსახურებით ისარგებლა 158 ბავშვმა, კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრით – 60, ხოლო ტრანზიტული მომსახურებით – 23 ბავშვმა. 2015 წელს მინდობით აღზრდაში განთავსდა 10 ბავშვი, რეინტეგრაციაში – 6 ბავშვი, მცირე საოჯახო ტიპის სახლში – 9 ბავშვი, ფორმალურ განათლებაში კი ჩაერთო 32 ბენეფიციარი. ოჯახის გაძლიერების მიზნით, სახელმწიფო

116 კორესპონდენცია MIA 2 16 00398721

117 კორ. N 618946

პროგრამებში გადამისამართდა 80 შემთხვევა. დოკუმენტაცია მოუწესრიგდა 40 ბენეფიციარს და/ან ოჯახის წევრს, სხვა შესაბამის ორგანიზაციებში გადამისამართდა 13 ბავშვი. 2015 წელს მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებით განხორციელდა 270 შეტყობინება. მობილურმა ჯგუფმა რეაგირება განახორციელა 210 შემთხვევაზე. 2015 წელს საპატრულო პოლიციის ეკიპაჟებმა კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარში 15 ბავშვი გადაიყვანეს, 1 ბავშვი გადაყვანილ იქნა ტრანზიტულ თავშესაფარში, 1 – ბავშვი დედათა და ბავშვთა თავშესაფარში, 1 – მიმღებ ოჯახში, 1 – ბავშვთა სახლში, 1 კი – პოლიციის განყოფილებაში; აღნიშნულ პერიოდში შედგენილია რეაგირების 27 ოქმი. „112“-ის ცხელ ხაზზე თბილისის მასშტაბით დაფიქსირდა 60-მდე შეტყობინება, მათგან კი სააგენტოსგან ცნობილი გახდა ერთი ფაქტი.

12. დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის თანახმად, „სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას, დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით“. აღნიშნული ჩანაწერი აწესებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, არასრულწლოვნებს შეუქმნას ღირსეული ცხოვრებისათვის მინიმალური პირობები მათი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. ბავშვის უფლებები დაცულია როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. ბავშვის უფლებათა კონვენციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის.“ ამავე მუხლის მე-3 პუნქტით, „მონაწილე სახელმწიფოები, ეროვნული პირობების შესაბამისად და თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, აუცილებელ ზომებს იღებენ იმისათვის, რათა დახმარება გაუწიონ მშობლებს, ბავშვთა აღმზრდელ სხვა პირებს ამ უფლების განხორციელებაში, აუცილებლობის შემთხვევაში მატერიალურად ეხმარებიან და თანადგომას უწევენ პროგრამებს, უწინარესად საკვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.“

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი ქვეპროგრამა ითვალისწინებს – „დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფას“, რომლის მიზანსაც ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენცია და ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერება წარმოადგენს. პროგრამის ღონისძიებები მოიცავს ბენეფიციართა თავშესაფრით, უსაფრთხო გარემოთი და კვებით 24-საათიან უზრუნველყოფას, გარდა ამისა, განათლების ხელშეწყობას, სამედიცინო, ფსიქოლოგიურ მომსახურებას და სხვა დამატებითი საჭიროებების დაკმაყოფილებას. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, ფუნქციონირებს ორი თავშესაფარი თბილისსა და ქუთაისში. თავშესაფარში იღებენ დედას 10 წლამდე არასრულწლოვანთან ერთად.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრი ახორციელებს მონიტორინგს დედათა და ბავშვთა თავშესაფრებში (ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, თბილისი, ნუცუბიძის პლატო, IV მ/რ, ჰერმან გმაინერის ქ. N1; ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, ქუთაისი, ახალგაზრდობის შესახვევი N3). განხორციელებული მონიტორინგისა და საქმისწარმოების შედეგებიდან ირკვევა, რომ თავშესაფრებში არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობა სათანადოდ არ არის დაცული.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსგან გამოთხოვილი სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად (კორესპონდენცია N04/19904; 14.03.2016),

2015 წელს ქუთაისის დედათა და ბავშვთა თავშესაფრის მომსახურებით ისარგებლა 34 ბენეფიციარმა (16–მა, მათ შორის, ორმა არასრულწლოვანმა დედამ და 18 ბავშვმა). ამავე წელს თავშესაფარი 9 დედამ და 11 ბავშვმა დატოვა. 2015 წლის განმავლობაში პროფესიული გადამზადების კურსი გაიარა 7 დედამ, რომელთაგან 5–მა უკვე დატოვა თავშესაფარი. დასაქმდა 3 ბენეფიციარი. 2015 წლის განმავლობაში ბენეფიციარებს ჩაუტარდათ სხვადასხვა ტიპის ტრენინგები. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში რეფერირებულ იქნა ბავშვის მიმართ ძალადობის ერთი შემთხვევა, რის შედეგადაც არასრულწლოვანი ჩაერთო სახელმწიფო მზრუნველობაში.

2015 წლის განმავლობაში თბილისის დედათა და ბავშვთა ორი თავშესაფრით ჯამში ისარგებლა 121 ბენეფიციარმა (53 დედამ და 68 ბავშვმა). თავშესაფრები კი დატოვეს 31 დედამ და 45 ბავშვმა. 2015 წელს საგანმანათლებლო კურსებში ჩართული იყო 7 ბენეფიციარი, მათგან 5–მა უკვე დატოვა თავშესაფარი. დასაქმდა 3 დედა. ამავე წლის განმავლობაში, სოციალური მომსახურების სააგენტოში ბავშვზე ძალადობის 6 შემთხვევა იქნა რეფერირებული, 3 ბავშვი კი განთავსდა ალტერნატიულ მზრუნველობაში. დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების მიზანია ოჯახის გაძლიერება და ბავშვის მიტოვების პრევენცია. ზემოაღნიშნული სტატისტიკური მონაცემებისა და სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრში მიმდინარე საქმისწარმოების ანალიზიდან იკვეთება, რომ პროფესიული განათლება სათანადოდ არ არის წახალისებული. პროფესიის დაუფლება დედების დასაქმებას უწყობს ხელს და არასრულწლოვნების ცხოვრებისათვის სათანადო გარემოს შექმნის წინაპირობაა. სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, 2015 წელს როგორც ქუთაისში, ისე თბილისში, მომსახურების მიმღები 69 დედიდან მხოლოდ 14 იყო ჩართული პროფესიული განათლების პროგრამაში, დასაქმდა მხოლოდ 6 მათგანი. აღნიშნული ცხადყოფს, რომ ერთი წლის გასვლის შემდეგაც კი, დედები კვლავ არ არიან მზად დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და კვლავ თავშესაფარში მოხვედრამდე არსებული პრობლემების წინაშე დგებიან. ხშირ შემთხვევაში მათ არ აქვთ საცხოვრებლით საკუთარი თავისა და შვილის უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ თავშესაფარში დედებს შორის ხშირია კონფლიქტი, ყოფილა ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევებიც, რაც საფრთხეს უქმნის არასრულწლოვანთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას. თავშესაფარში მცხოვრები ერთ-ერთი ბენეფიციარისგან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრისთვის ცნობილი გახდა ორ დედას შორის მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების ფაქტის შესახებ, რომლის შედეგადაც ერთი მათგანი გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში, მეორე დედა კი – პოლიციის დეპარტამენტში. მიმდინარეობს საქმის შესწავლა. კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნისას, ბენეფიციარები ხშირად იძახებენ საპატრულო პოლიციას. აღნიშნული მდგომარეობა ხელს უშლის არასრულწლოვანთა განვითარებისათვის სათანადო გარემოს შექმნას და უარყოფითად აისახება ბავშვების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

თავშესაფარში წესრიგი და დისციპლინა პრობლემას წარმოადგენს. თბილისის და ქუთაისის თავშესაფრებში დედებთან მუშაობს ფსიქოლოგი, თუმცა კონ-

ფლიქტების პრევენცია მაინც ვერ ხორციელდება. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეთ ვლინდება თბილისში მდებარე თავშესაფარში. აქ დაფიქსირდა დედების მიერ ღამის საათებში უცხო პირთა შეყვანის ფაქტები, რაც თავშესაფრის დაცვის სისტემის ნაკლოვანებაზე მიუთითებს.

თბილისში მდებარე თავშესაფრის ბენეფიციარებისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, საკვების მომზადების პროცესში, ყველა დედა სათანადოდ არ იცავს ჰიგიენას, რაც უარყოფითად აისახება არასრულწლოვანთა ჯანმრთელობაზე.


სშირ შემთხვევაში თავშესაფარში მცხოვრებ დედებს არ აქვთ განვითარებული ბავშვის მოვლის უნარ-ჩვევები. შესაბამისად, ისინი ვერ ახორციელებენ შვილებზე სათანადო მზრუნველობას. თავშესაფრებში მომუშავე ძიძების რაოდენობა არასაკმარისია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დედების ფსიქიკურ ჯანმრთელობას. მონიტორინგის განხორციელების დროს დაფიქსირდა ფსიქიკური პრობლემების მქონე ბენეფიციარის თავშესაფარში ჩარიცხვის შემთხვევები, როდესაც აღნიშნული არ იყო დადასტურებული შესაბამისი ჯანმრთელობის ცნობით. ამდენად, რისკის ქვეშ დადგა თავშესაფარში მცხოვრებ არასრულწლოვანთა უსაფრთხოება.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს 16 წლამდე არასრულწლოვანი დედების თავშესაფარში ჩარიცხვის შემთხვევებს. მონიტორინგის განხორციელების დროს გამოიკვეთა, რომ 16 წლამდე ასაკის დედების ჩარიცხვის შემდეგ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არ განხორციელებულა სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვა.

13. განათლების უფლების განხორციელება

განათლების უფლების რეალიზაცია, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბავშვის უფლებების იმპლემენტაციის მიმართულებით გამოკვეთილ, ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას წარმოადგენს. საქმისწარმოების ანალიზიდან გამომდინარე, აღნიშნულ სფეროში გამოიყო რამდენიმე პრობლემური სფერო: ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უფლება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების უსაფრთხო და სათანადო ფიზიკურ-ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნა, ინკლუზიური განათლების საყოველთაო დანერგვა და განხორციელება, სკოლამდელი განათლების იმპლემენტაცია.

ცხრილი N7 – ძირითადი პრობლემური მიმართულებები განათლების უფლების იმპლემენტაციის კუთხით:



ზოგადი განათლების უფლების განხორციელება - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საქმისწარმოების პროცესის ანალიზიდან გამომდინარე, გამოიკვეთა ზოგადი განათლების უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემები შემდეგი მიმართულებებით: საჯარო სკოლების არასათანადო ფიზიკურ-ინფრასტრუქტურული გარემო, ზოგადი განათლების ხარისხიანი იმპლემენტაცია, ინკლუზიური განათლების დანერგვა და განხორციელება.

ინკლუზიური განათლების განხორციელება – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მონოდებული მონაცემებით,¹¹⁸ 2016 წლის იანვრის მდგომარეობით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა თბილისისა და საქართველოს რეგიონების მიხედვით, 2013 წელს შეადგენდა: თბილისში – 1 347, იმერეთში – 438, კახეთში – 180, ქვემო ქართლში – 280, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 154, აჭარაში – 266, გურიაში – 240, შიდა ქართლში – 207, სამცხე-ჯავახეთში – 126, მცხეთა-მთიანეთში – 93, რაჭაში – 31, აფხაზეთში – 3 მოსწავლეს (სულ 3 365). 2014 წელს: თბილისში – 1 089, იმერეთში – 508, კახეთში – 373, ქვემო ქართლში – 350, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 284, აჭარაში 365, გურიაში – 319, შიდა ქართლში – 285, სამცხე-ჯავახეთში – 140, მცხეთა-მთიანეთში – 131, რაჭაში – 40, აფხაზეთში – 13 მოსწავლეს (სულ 3 897). 2015 წელს: თბილისში – 1 453, იმერეთში – 643, კახეთში – 581,

118 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია N MES 4 16 00218692.

ქვემო ქართლში – 484, სამეგრელო–ზემო სვანეთში – 438, აჭარაში 441, გურიაში – 390, შიდა ქართლში – 388, სამცხე–ჯავახეთში – 210, მცხეთა–მთიანეთში – 172, რაჭაში – 50, აფხაზეთში – 17 მოსწავლეს (სულ 5 267).

მონოდებული მონაცემების მიხედვით, 2013–2015 წლების განმავლობაში იკვეთება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა, რაც, ცხადია დადებითი ტენდენციაა და მიუთითებს ინკლუზიური განათლების პროგრამის მუშაობის დინამიკაზე. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული საქმისწარმოებისა და მონიტორინგის მიხედვით, ინკლუზიური განათლების დანერგვა და განხორციელება საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში შეფერხებით მიმდინარეობს.

ეფექტიანი ინკლუზიური განათლების დანერგვა და განხორციელება არაერთ გამონწევასთან არის დაკავშირებული. მათ შორისაა, მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და პროფესიული ზრდის საჭიროება, რაც მოიცავს კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და მათ უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს სპეციალური განათლების მქონე პედაგოგების მოზიდვა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში. საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრში მიმდინარე საქმისწარმოების შედეგად გამოიკვეთა, რომ მაღალმთიანი რეგიონების მთელ რიგ სოფლებში შეფასდნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არასრულწლოვნები, თუმცა მაინც ვერ მოხერხდა მათი ჩართვა ინკლუზიური განათლების პროგრამაში სპეციალური პედაგოგების არარსებობის გამო. მაგალითად, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეჩოს საჯარო სკოლაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის ინკლუზიური განათლების პროგრამაში ჩართვა და სპეციალური განათლების პედაგოგის შერჩევის პროცესი ერთი წელი და 6 თვე მიმდინარეობდა.¹¹⁹

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით,¹²⁰ სპეციალური პედაგოგების რაოდენობა თბილისსა და რეგიონებში, 2016 წლის იანვრის მონაცემებით შემდეგია: თბილისში – 258, იმერეთში – 233, კახეთში – 155, ქვემო ქართლში – 88, სამეგრელო–ზემო სვანეთში – 151, აჭარაში – 153, გურიაში – 100, შიდა ქართლში – 106, სამცხე–ჯავახეთში – 73, მცხეთა–მთიანეთში – 40, რაჭაში – 24 (სულ 1 381 პედაგოგი). როგორც ირკვევა, სპეციალური პედაგოგების აღნიშნული რაოდენობა მაინც არ არის საკმარისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეების ინკლუზიურ პროგრამაში ჩართვისათვის.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ფიზიკურ–ინფრასტრუქტურული მდგომარეობა. აფხაზეთის საჯარო სკოლები – საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმისწარმოების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ მთელი რიგი საჯარო სკოლები ფუნქციონირებს მოსწავლეთათვის არასათანადო ფიზიკურ–ინფრასტრუქტურულ და სანიტარულ–ჰიგიენურ პირობებში. განსაკუთრებით ყურადსაღებია სსიპ აფხაზეთის საჯარო სკოლებში შექმნილი მდგომარეობა. აღნიშნული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა თხუთმეტს შეადგენს, აქედან ორი – N13 და N16 სკოლები, აფხაზეთის ოკუპირე-

119 საქმე N 12419/1.

120 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორექსონდენცია N MES 4 16 00218692.

ბულ ტერიტორიაზე მდებარეობს.¹²¹ საანგარიშო პერიოდში სსიპ აფხაზეთის N2, N3 (თბილისი) და N22 (დაბა ლიკანი) სკოლების ფიზიკურ-ინფრასტრუქტურული გარემოს შესწავლამ გამოავლინა, რომ აღნიშნული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები ზოგად განათლებას არასათანადო გარემოში იღებენ.¹²² N22 სკოლას მცირე ფართი ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ლიკანის საბავშვო ბაღმა გადასცა, ხოლო როგორც N2, ისე N3 საჯარო სკოლები დევნილთა საცხოვრებლებში ფუნქციონირებს, რაც მნიშვნელოვნად უშლის ხელს ხარისხიანი განათლების უფლების განხორციელებას. სსიპ აფხაზეთის N3 საჯარო სკოლის ფიზიკურ-ინფრასტრუქტურული გარემოს შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულების შემოსასვლელი საერთოა როგორც მოსწავლეებისათვის, ისე შენობაში მცხოვრები დევნილი ოჯახებისათვის.

აღნიშნული სამი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შენობა საჭიროებს მნიშვნელოვან სარეაბილიტაციო სამუშაოებს, სველი წერტილების მოწესრიგებას. საყურადღებოა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოყოფილი დაფინანსების უდიდესი ნაწილი ეთმობა სახელფასო უზრუნველყოფას, ხოლო გათბობასა და სარემონტო სამუშაოებზე მიზერული თანხა იხარჯება (მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 7–8%).¹²³

N3 და N 22 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პრობლემურ საკითხს ისიც წარმოადგენს, რომ აქ ფუნქციონირებს ე. წ. კლას-კომპლექტები,¹²⁴ რაც თავის მხრივ აფერხებს ეფექტიანი დაწყებითი განათლების განხორციელებას.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სახალხო დამცველის მიმართვისა, ამ სკოლების რეაბილიტაცია არ იქნა გათვალისწინებული სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ინფრასტრუქტურის განვითარების 2015 წლის გეგმაში.¹²⁵

სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელება – საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმისწარმოების საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლამდელი აღზრდის ხელმისაწვდომობის უფლება, მუნიციპალურ დონეზე, ხარვეზებით ხორციელდება.

ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით,¹²⁶ 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში რეგისტრირებული იყო 55 605 აღსაზრდელი, ხოლო 6 500 ბავშვი, საბავშვო ბაგა-ბაღებში ადგილების არარსებობის გამო, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ვერ ჩაერთო.

ზოგიერთი საბავშვო ბაღის ასაკობრივ ჯგუფებში აღსაზრდელთა რაოდენობა დასაშვებ მაქსიმუმს თითქმის ორჯერ აჭარბებს.¹²⁷ ა(ა)იპ თბილისის საბავშვო

121 <http://meca.gov.ge/itst/index.php?module=Content-House&action=view&id=1393&lang=geo>

122 საქმე N 2261/15, N 5404/15 და N 5967/15.

123 საქმე N 5404/15.

124 N3 საჯარო სკოლაში კლას – კომპლექტები გვხვდება I – III და II – IV კლასის, ხოლო N 22 სკოლაში – I-II და III – IV კლასის მოსწავლეებისათვის.

125 კორესპონდენცია N MES 51501114300.

126 კორესპონდენცია N 2266/16.

127 მაგალითად, საბავშვო ბაგა-ბაღი „ხუთკუნჭულა“, საქმე N 11024/15.

ბაგა-ბალების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, გადატვირთულობის პრევენციის მიზნით, დასრულდა 4 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების მშენებლობა, გარდა ამისა, უკვე არსებულ საბავშვო ბალებში დამატებული იქნა შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფები.¹²⁸

საქმისწარმოების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელების კუთხით მნიშვნელოვანი პრობლემები იქმნება ახალქალაქისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში. მთელი რიგი საბავშვო ბალები არასათანადო ფიზიკურ-ინფრასტრუქტურულ გარემოში ფუნქციონირებს,¹²⁹ ხოლო ზოგიერთ სოფელში, მიუხედავად მოსახლეობის რაოდენობისა და მათი მოთხოვნისა, საბავშვო ბაგა-ბალები საერთოდ არ გვხვდება.¹³⁰ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, მუნიციპალიტეტის 65 სოფლიდან მხოლოდ რვა სოფელში ფუნქციონირებს სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება, რომელთაგან ექვსი სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრია, ხოლო ორი – საბავშვო ბაღი.¹³¹ აღსანიშნავია, რომ სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა სხვა მუნიციპალიტეტებსა და სოფლებშიც გვხვდება.¹³²

სამართლებრივი რეგულირება – საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას და უზრუნველყოფს სკოლამდელ აღზრდას კანონით დადგენილი წესით. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ზოგადი განათლების ღიაობა და თანაბრობა ყველასათვის. იმავე დებულების მიხედვით, საქართველო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების დანერგვას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 28-ე მუხლის თანახმად, ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა, საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში, უნდა უზრუნველყონ დანყებითი და საშუალო განათლების ხელმისაწვდომობა. იმავე დოკუმენტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტიდან და მე-4 მუხლიდან გამომდინარეობს, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვთა უფლებების სრული იმპლემენტაცია. განათლების საყოველთაოობის უფლებას ასევე განამტკიცებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-13 მუხლი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტმა, თავის 2008 წლის დასკვნით შენიშვნებში საქართველოს მიმართ, ხაზი გაუსვა სახელმწიფოს ვალდებულებას, გამოეყოს დამატებითი ფინანსური რესურსები

128 კორესპონდენცია N 1/2121.

129 მაგალითად, სოფელი აზავრეთი.

130 მაგალითად, სოფლები: ვარევანი, აზიზკენდი, თაზაქენდი.

131 კორესპონდენცია N 1440/13.

132 მაგალითად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელი ველევი, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელი ბეწო, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი დიდი არაგიალი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი კულაში, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი დირბი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭიაური.

განათლების უფლების განხორციელების უზრუნველყოფის მიმართულებით.¹³³ ამასთან, აუცილებელია, ყურადღება გამახვილდეს ქვეყანაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და ხელმისაწვდომობაზე, განსაკუთრებით რეგიონებში.¹³⁴ კომიტეტის მოსაზრებით, უმნიშვნელოვანესია განათლების ხარისხის ამაღლება სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით.¹³⁵ რაც შეეხება სკოლამდელი განათლების უფლების იმპლემენტაციას, კომიტეტმა აღნიშნა, რომ საქართველომ უნდა გაატაროს საჭირო ღონისძიებები სკოლამდელ სააღმზრდელო ინსტიტუტებში ადრეული ასაკის ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.¹³⁶

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- გაძლიერდეს სახელმწიფო პოლიტიკა რეინტეგრირებულ ბავშვთა ბიოლოგიური ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების გაუმჯობესების, სახელმწიფო მზრუნველობაში ბავშვთა განთავსების პრევენციის სფეროებში
- სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამაში აისახოს რეინტეგრირებული ოჯახების გაძლიერების სპეციალური ქვეპროგრამები
- ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების მიზნით:
 - ა) შემუშავდეს სპეციალური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა
 - ბ) განხორციელდეს შესაბამისი პროფილის სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და დაინერგოს უწყვეტი განათლების სისტემა; რეგიონებში მომუშავე სამედიცინო პერსონალისათვის შემუშავდეს კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო პროგრამა; ხელი შეეწყოს ორსულთა პატრონაჟის სისტემის დანერგვასა და საყოველთაო განხორციელებას;
 - გ) ხელი შეეწყოს ბავშვთა სამედიცინო დანესებულებების ხელმისაწვდომობასა და ხარისხიან ფუნქციონირებას, განხორციელდეს შესაბამისი პროფილის სამედიცინო დანესებულებების აღჭურვა ინფრასტრუქტურითა და სამედიცინო აპარატურით
 - დ) სასწრაფო სამედიცინო დახმარებას დაემატოს შესაბამისი აღჭურვილობის ვერტიკალური, რათა დროულად მოხდეს მაღალმთიანი რეგიონებიდან და ძნელად მისასვლელი რაიონებიდან პაციენტის დროუ-

133 ბავშვის უფლებათა კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები: საქართველო, 2008, პარ.57(ა).

134 იქვე, პარ.57(ბ).

135 იქვე, პარ.57(გ).

136 იქვე, პარ.57(ე).

ლად გამოყვანა; დაინერგოს ერთიანი რეგულაცია კერძო სამედიცინო ტრანსპორტისა და საჯარო სამედიცინო სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით;

ე) ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების მიზნით, აქტიურად დაინერგოს პაციენტის სამედიცინო ისტორიის დამუშავებისა და შენახვის ერთიანი ელექტრონული ბაზა

- გაიზარდოს მოსახლეობის ინფორმირებულობა ჩვილთა ჯანმრთელობის უფლების დაცვისათვის საჭირო მექანიზმების, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სერვისების შესახებ
- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბავშვთა თვითმკვლელობის გამომწვევი მიზეზების შესწავლას, მიღებულ იქნეს პრევენციული ზომები აღნიშნულის აღმოსაფხვრელად, გათვალისწინებულ იქნეს უცხო ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება
- გატარდეს მაქსიმალურად ეფექტიანი ღონისძიებები ბავშვის მიმართ ყველა სახის ძალადობის, როგორც ბავშვთა სუიციდის განმაპირობებელი ერთერთი ფაქტორის დასაძლევად
- ბავშვთა სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადაყვანის პრევენციის მიზნით, გაძლიერდეს მუშაობა სახელმწიფოებთან ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადების მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების რეგულირება, როგორიცაა ბავშვის გატაცებასთან დაკავშირებული გარემოებების აღმოჩენა და შესწავლა, ბავშვების სწრაფი დაბრუნება, ადმინისტრაციული და სასამართლო პროცედურების განხორციელება და რელევანტური ინფორმაციის გაცვლა
- საქართველოს ნორმატიულ ბაზაში სრულად აისახოს ჰააგის 1980 წლის კონვენციით – „ბავშვთა საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ – გათვალისწინებული პრინციპები
- შეიქმნას სამოქმედო გეგმა ყველა პასუხისმგებელი სამინისტროს ჩართულობით, რათა მოხდეს შიდა და საერთაშორისო კანონმდებლობის პრაქტიკული იმპლემენტაცია ბავშვთა სექსუალური ძალადობისგან დაცვის სფეროში
- სამთავრობო დონეზე მომზადებულ სამოქმედო გეგმაში, საკითხის მნიშვნელობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, გაინეროს სექსუალური ძალადობის აღმოფხვრა/პრევენციისათვის საჭირო ქმედებები და განხორციელების კონკრეტული ინსტრუმენტები
- სამოქმედო გეგმაში გაინეროს „სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის პრაქტიკაში აქტიური დანერგვისათვის საჭირო ქვეპროგრამები და განხორციელდეს აღნიშნული დოკუმენტით დადგენილი პრინციპების სისტემური იმპლემენტაცია; მოხდეს პროფესიონალთა გადამზადება, რათა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე უზრუნ-

ველყოფილ იქნეს დროული და ეფექტიანი გამოძიება/სისხლისსამართლებრივი დევნა

- სამოქმედო გეგმის ფარგლებში ჩამოყალიბდეს კონკრეტული სისტემა სექსუალური ძალადობის შედეგად დაზარალებული ბენეფიციარების საგანმანათლებლო პროცესში რეინტეგრაციისა და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ეფექტიანი განხორციელების მიზნით
- ფარდობით სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვთა სპეციფიკური საჭიროებების იდენტიფიკაციისა და განხორციელების მიზნით, მოქმედ სახელმწიფო ქვეპროგრამებში აისახოს ბავშვთა სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებები, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს სოფლად და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ ბავშვთა ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე
- შეიქმნას სათანადო პირობები მაღალმთიანი რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური განათლების პედაგოგებისთვის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე არასრულწლოვნების ინკლუზიური განათლების პროგრამაში ჩართვის მიზნით

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მუსლიმური კონფესიების დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა პანსიონებში ბავშვების ჩარიცხვა მოხდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართულობით
- უზრუნველყოფილ იქნეს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მუსლიმური კონფესიების დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა პანსიონებში გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის პრინციპებისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტის დანერგვა
- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ ცენტრებს დაემატოს ფსიქოლოგის შტატი ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა საჭიროებების შეფასებისა და ფსიქო-ემოციური რეაბილიტაციის მიზნით
- უზრუნველყოფილ იქნეს მინდობით აღმზრდელ ოჯახთა სისტემური და რეგულარული გადამზადება ბავშვთა უფლებებისა და საჭიროებების სფეროში
- განხორციელდეს აქტიური მონიტორინგი რეგიონებში მინდობით აღმზრდელ ოჯახებში განთავსებულ ბავშვთა ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობის, განათლებისა და არასათანადო მოპყრობისგან დაცვის სფეროებში
- განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ნათესაური მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართული მიმღები ოჯახებისა და ბავშვების გაძლიერებაზე, ინიცირებულ იქნეს სპეციალური სახელმწიფო ქვეპროგრამებისა და სერვისების დანერგვა

- ამალდდეს რეინტეგრაციის ქვეპროგრამაში ჩართული ოჯახების ინფორმირებულობის დონე ბავშვთა უფლებების, განსაკუთრებით, ძალადობის, ექსპლუატაციისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით, აგრეთვე, რთული ქცევის მართვისა და ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების სფეროში
- ხელი შეეწყოს რეინტეგრაციის ქვეპროგრამაში ჩართული, ფარდობითი სიღარიბის პირობებში მცხოვრები ოჯახების სოციალურ გაძლიერებას; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მაღალმთიან რეგიონებსა და სოფლად მცხოვრებ ბავშვთა ოჯახებს
- განხორციელდეს ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა აქტიური იდენტიფიცირება და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია
- უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე პასუხისმგებელ უწყებებთან სისტემური რეფერირება
- გაძლიერდეს სოციალური სამსახური ადამიანური და ტექნიკური რესურსით, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებებით; სოციალური მუშაკებისთვის გაუმჯობესდეს შრომითი გარემო, შეძლებისდაგვარად იქნეს თავიდან აცილებული კვალიფიციური კადრების სერვისიდან გადინება. შეიქმნას პირობები სოციალური მუშაკების რაოდენობის გასაზრდელად

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს:**

- უზრუნველყოფილ იქნეს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მუსლიმური კონფესიების დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა პანსიონებში სახელმწიფო სოციალური მუშაკების მიერ ბავშვებისა და მათი ოჯახების შეფასება, რაც ხელს შეუწყობს ზრუნვის ალტერნატიული ფორმების განსაზღვრას
- განხორციელდეს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მუსლიმური კონფესიების დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა პანსიონებში ბენეფიციართა მულტი-დისციპლინური შეფასება და მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული განვითარების გეგმის შემუშავება
- სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულმა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა უზრუნველყოს ბავშვის ქვამარიტი ინტერესების დაცვა, მათ შორის, ამ პროცესში არასრულწლოვნის მიერ საკუთარი აზრის დაფიქსირება
- უზრუნველყოფილ იქნეს, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესის მიმდინარეობისას, არასრულწლოვანთა მიმართ ოჯახის წევრების მხრიდან ფიზიკური/ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევების იდენტიფიკაცია და კანონით განსაზღვრული რეაგირების განხორციელება
- უზრუნველყოფილ იქნეს, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში, არასრულწლოვანთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვის

მიზნით, სოციალური მუშაკის აქტიური მონაწილეობა და საჭიროების შემთხვევაში, არასრულწლოვანთათვის ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდება

- განხორციელდეს სოციალური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება და მათი ინფორმირება ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დაცვისთვის საჭირო ღონისძიებების შესახებ
- გაძლიერდეს, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კოორდინირებული მუშაობა
- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, არასრულწლოვანთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, დედათა და ბავშვთა თავშესაფრებში დედებს შორის არსებული კონფლიქტის პრევენციას
- უზრუნველყოფილ იქნეს, დედათა და ბავშვთა თავშესაფარში ყოფნის განმავლობაში, დედებისთვის მშობლის უნარ-ჩვევების განვითარება
- გაიზარდოს ძიძის საშტატო ერთეულის რაოდენობა დედათა და ბავშვთა თავშესაფრებში
- უზრუნველყოფილ იქნეს, დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში, დედათა პროფესიულ კურსებში მონაწილეობა და გაძლიერდეს მათ დასაქმებაზე ზრუნვა

სატელევიზიო, ბეჭდურ და ელექტრონულ მედია საშუალებებს საქართველოში:

- უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვთა საკითხების გაშუქება სათანადო ეთიკური და სამართლებრივი სტანდარტების დაცვით; ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ძალადობის შემთხვევების გაშუქებისა და თვითმკვლელობის მიდრეკილების მქონე ბავშვთა საკითხებზე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- განხორციელდეს არასრულწლოვანთა თვითმკვლელობის ფაქტებთან დაკავშირებით სწრაფი, ეფექტიანი და გამჭვირვალე გამოძიება
- უზრუნველყოფილ იქნეს, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების შესაბამისად, ბრძანებაზე¹³⁷ პასუხისმგებელ სხვა უწყებებთან ერთად, კოორდინირებული მუშაობა ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების უფლებების დასაცავად, რაც გულისხმობს სოციალური მომსახურების სააგენტოსთან თანამშრომლობით, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დროულ იდენტიფიკაციასა და მათ ჩართვას შესაბამის მომსახურებაში. მიღებული იქნეს კონკრეტული ზომები პოლიციის თანამშრომელთა ინფორმირებულობის გაზრდისათვის ქუჩაში მცხოვრე-

137 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანება N152/6-N496-N45/N

ბი და მომუშავე ბავშვების დაცვისთვის გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებების შესახებ

- გატარდეს ადეკვატური პრევენციული ღონისძიებები ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მათხოვრობაზე დაყოლიების ან არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) სავარაუდო ფაქტებზე
- უზრუნველყოფილ იქნეს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების წინააღმდეგ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებების დროული და ეფექტიანი გამოძიება/სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და პასუხისმგებელი პირების გამოვლენა
- უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვის მიმართ ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის, შემთხვევების დროული და ადეკვატური გამოძიება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- განხორციელდეს არა მარტო მანდატურების, არამედ, საქართველოს ყველა რეგიონის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგებისა და სკოლის დირექტორების სისტემატიური გადამზადება ბუღინგის შემთხვევების იდენტიფიცირების, პრევენციისა და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის განხორციელების (რეფერირების) პროცედურების შესახებ
- შემუშავდეს და აქტიურად განხორციელდეს, არასრულწლოვანთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამები ბუღინგის საკითხთან დაკავშირებით
- შემუშავდეს ბუღინგის დაძლევის ერთიანი სამოქმედო გეგმა პედაგოგებისა და მანდატურებისთვის. მასში დეტალურად გაიწეროს ბუღინგის იდენტიფიცირების, პრევენციისა და მასზე შემდგომი რეაგირების სახელმძღვანელო პროცედურები
- აღირიცხოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში იდენტიფიცირებული ბუღინგის შემთხვევები. დამუშავდეს შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები
- განხორციელდეს პედაგოგთა სისტემატური გადამზადება ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე
- აქტიურად მიენოდოს ინფორმაცია, ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და შსს საპატრულო პოლიციას
- გაძლიერდეს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულება მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი თბილისისა და რეგიონებში, რთული ქცევის მქონე ბავშვთა საჭიროებების გამოვლენისა და ბავშვთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის მასშტაბური განხორციელების მიზნით.